F 64 N 10984

1906 წ.
25 დეკემბერი

ახალი დროება

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

ორშაბათი

№ 7

259 N16879

ყოველკვირეული გაზეთი

№ 7

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.
რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.
კანტორა ხელის-მომწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათი-
დან 2 საათამდე და სალამოს 5-დან 7-დე.
განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტით—15 კაპ., უკანასკნელ
გვერდზე—10 კაპ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. პროფესიონალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია. 2. სახალხო მასწავლებელთა კავშირი. 3. კვირიდან კვირამდე. 4. ფელეტონი. ლექსები—„ჩვენ მჭედლები ვართ“ შ-სი და 5. „ამხანაგებო, შევერთდეთ“... თეოლი. 6. ანარხიზმი თუ სოციალიზმი. 7. პროფესიონალური მოძრაობა და მუშათა კავშირები. თბილისი. 8. კავკასია. 9. რუსეთი. 10. საზღვარგარეთ. 11. სტატისტიკა. 12. კავშირებში. 13. ხმა ქუთაისის სატუსაღოდან. 14. დახმარება. 15. სიტყვე'ის ახსნა. 16. განცხადებანი

ყოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“.

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში:	ერთი წლით	5 მანეთი,	
„	ნახევარი წლით.	2 „	50 კაპ.
„	სამი თვით.	1 „	25 „
„	ერთი თვით	—	40 „
თბილისს გარეთ:			
„	წლით.	6 მან.	
„	ნახევარი წლით	3 „	
„	სამი თვით	1 „	50 კაპ.
„	ერთი თვით	—	50 „
საზღვარ გარეთ:			
„	ერთი წლით	8 მან.	
„	ნახევარი წლით.	4 „	
„	სამი თვით.	2 „	
„	ერთი თვით.	—	80 კაპ.

ცალკე ნომერი ღირს ორი შაური.

მიიღება ხელის მოწერა პროვინციებში, შემდეგ პირებთან:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან.
ბათომში—მიხაკო კალანდაძესთან.
ბაქოში—პავლე ჯალალანიასთან.
ხონში—წიგნის მაღაზია „რუსთაველში“
ფოთში—ლავრენტი ტუღუშსთან.
ხაშურში—ეგნატე შარაძესთან,
ჩოხატაურში—კოტე მახარაძესთან.
გორში—არჩვაძის წიგნის მახაზიაში.
ოზურგეთში—წიგნის მაღ. „იმედ“-ში.
ლანჩხუთში—შალიკო ცინცაძის წიგნის მაღაზიაში.
ჭიათურაში—ვლადიმერ მოსეშვილთან.
თბილისშ—1. წ. მაღაზ. „ცოდნა“, სოსიკო მერკვილაძესთან. 2. **სასტუმრო „იალტაში“**, ვასილ კერესელიძესთან, 3. **გოლოვინსკი პროსპექტზე**—წიგნ. მაღ „ნოვაია რეჩ“ ში. 4 **მიხაილოვის ქუჩაზე**—წიგნ. მაღაზ. „ობრაზოვანიე“-ში. 5. **კიროჩნი ქუჩაზე**—ვასილ გადილიას წიგნის მაღაზიაში.

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ მომავალ ოთხი წლის 1906–1910 წ. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები 1907 წლის აპრილში მოხდება სამ საარჩევნო ნაწილში, რომელთაგან პირველში შედის 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილები; მეორეში – 5, 6 და 7 და მესამეში – 8, 9 და 10 საპოლიციო ნაწილები. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას, რომელშიაც შედის ყველა სახლის პატრონი და ვისაც 1500 მან. ღირებული და მეტი უძრავი ქონება აქვთ და ყველა ვაჭრები და მრეწველები, რომელთაც პირველი რიგის მოწმობები აქვთ აღებული. 1907 წ. თებერვლის დამლევს უკანასკნელათ გამოაქვეყნებენ საარჩევნო სიებს, სადაც შეტანილი იქნებიან ყველა ზემოაღნიშნული ვაჭარ-მრეწველნი, რომელზედაც ნედოიმკები არ ირიცხება, აცნობებს რა ამას ქალაქის გამგეობა იმ აზრით, რომ ამრჩეველთა უმეტესობამ მიიღოს მონაწილეობა, აუწყებს ბბ. სახლის პატრონებს, დროზე გადაიხადონ მათზე დარჩენილი ნედოიმკები.

3—2

პროფესიონალური კავშირები და სოციალ-დემოკრატია.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდის სისწრაფით იზრდება ამ ბოლო დროს ჩვენში პროფესიონალურ კავშირთა რიცხვი; დღე არ გავა, რომ ახალი კავშირი არ დაარსდეს, დღე არ გავა, რომ პროფესიონალურ კავშირებს ასობითა და ათასობით წევრი არ მიემატოს. უკანასკნელმა რევოლიუციონურმა ხანამ თვალი აუხილა იმ მუშათა კლასის ნაწილსაც კი, რომელიც აქამდის ან სულ მუშათა კლასის წინაალმდეგ მოქმედებდა და ან ყურს არა იბერტყავდა.

ასეთი ახლათ გამოღვიძებული მასსა, რომელიც ჯერ კიდევ მაინც უფრთხის პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ ამხანაგებთან შეკავშირების აუცილებლობას კი მიმხვდარია, მიეშურება პროფესიონალურ კავშირებში. პოლიტიკურ პარტიებთან ერთათ არსდება ცალკე პროფესიონალური კავშირები.

და ეს აუცილებლათ ასეც უნდა მომხდარიყო. მთელი ამოდენა სხვა-და-სხვანაირი შეხედულების მასსის შეკავშირება ერთ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში და კერძოთ სოციალ დემოკრატიულ პარტიაში შეუძლებელია. რადგან, ჯერ ერთი, მასში ბლომათ ურევია ისეთი ელემენტები, რომელთაც არ უნდათ გაიგონონ სიტყვა „პოლიტიკა“,—და მეორე ის, რომ, რაც უნდა ძლიერი იყოს პოლიტიკური პარტია, მას არ შეუძლია იქონიოს ერთგვარი გავლენა მთელ ამოდენა მასსაზე; მას არ შეუძლია დღეს-დღეობით მაინც გაუწიოს მათ შესაფერი ხელმძღვანელობა, როგორც პოლიტიკურ, ისე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალურ სფერაში, თუ თავის პრინციპებს არ უღალატა.

„რაც უნდა კარგად იყოს დაყენებული საქმე, როგორიც უნდა დიდი გავლენა ჰქონდეს კომიტეტს,—პროფესიონალურ კავშირთა იდეა ყოველთვის იკოცხლებს... იგი არ ამოიფხვრება, რადგან გამომდინარეობს პროლეტარული შეგნებისაგან და ჩაგონებულია ცხოვრების მწარე გამოცდილების მიერ *). მაშასადამე, თუ არც-ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია ამ ორივე სფერაში შესაფერათ უხელმძღვანელოს მუშათა კლასს, მაშინ საჭიროა შრომის განაწილება, საჭიროა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთათ პროფესიონალურ ორგანიზაციების დაარსება; და რომ პროფესიონალური კავშირები აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ კლასთა ბრძოლის განვითარებისთვის,—ამაში დღეს ეჭვი არავის აქვს. „პროფესიონალური მოძრაობა კანონიერია, აუცილებელია და თავიდან მოუშორებელია; სოციალ-დემოკრატი, რომელიც პროფესიონალური კავშირების წინააღმდეგია, ებრძვის ისტორიას, ლოგიკას და თავის თავს“.**) ამის შესახებ კაუცკი ამბობს: „მარქსისტული კლასთა ბრძოლის თეორია, რომელ ნიადაგზედაც მე ვდგევარ, „პარტიის რადიკალურ ჯგუფთან ერთათ“, სულაც არ უარჰყოფს პროფესიონალურ მოძრაობას, არამედ სთვლის მას პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის მნიშვნელოვან მომენტათ. ჯერ კიდევ „კომუნისტური მანიფესტის“ გამოცემამდის, ფრიდრიხ ენგელსმა თავის წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ და კარლ მარქსმა „ფილოსოფიის სიღატაკე“-ში გამოსთქვეს თავიანთი აზრი პროფესიონალურ მოქმედების შესახებ. მას შემდეგ ორივემ გააფართოვეს და შეავსეს თავიანთი შეხედულება ამ კითხვის შესახებ და შემდეგ, ინტერნაციონალის წყალობით, დაუდეს საძირკველი დღევანდელ საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობას, ხელმძღვანელობდენ-რა საერთაშორისო ასოციაციის პრინციპებით; და, მართლაც, პროფესიონალური მოძრაობა მისაღებია მხოლოდ, როგორც კლასიური ბრძოლის ფორმა***).

მაშასადამე, კლასთა ბრძოლის განსავითარებლათ საჭიროა სოციალისტურ პარტიებთან ერთათ პროფესიონალური კავშირებიც. მათ უნდა გააკეთონ ის, რის გაკეთებაც არ შეუძლია დღეს პოლიტიკურ პარტიას, მათ უნდა გადაჯაჭვონ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მთელი მუშათა კლასი, მიუხედავათ მათი პოლიტიკური შეხედულებისა.

აი, რას ამბობს პროფესიონალურ კავშირების საჭიროებაზე მანჭეიმის სიეზდი: „პროფესიონალური კავშირები აუცილებლათ საჭირონი არიან მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ისინი იმდენათ საჭირონი არიან, რამდენათაც სოციალ-დემოკრატიული პარტია“...

ამნაირათ, ჩვენ დავინახეთ, რომ პროფესიონალური მოძრაობა აუცილებლათ საჭიროა და საუკეთესო იარაღია კლასიური ბრძოლისა. მაგრამ, როგორც ამის მაგალითს დასავლეთ ევროპის პროფესიონალური კავშირების ისტორია გვიჩვენებს, ზოგჯერ ეს იარაღი სულ ბლაგვდება და არამც თუ შველის კლასიურ ბრძოლას, არამედ გზაზედაც კი ეღობება მას.

*) „პროლეტარი“ № 21.

**) „პროლეტარი“ № 21.

***) „Звено“ № 5, თარგმანი ნემეცურიდან: „პარტია და პროფესიონალური კავშირები“.

აი საქმე რაშია. პროფესიონალურ მოძრაობას კერძოთ დასახული აქვს თავის მიზნათ დღევანდელ პირობებში მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. და, მართლაც, იგი საუკეთესო კლასიურ ორგანიზაციას წარმოადგენს,—მისი ტაქტიკა თავდასხმის ტაქტიკაა, მისი სულის-კვეთება რევოლიუციონურია, იგი შეურიგებელი მტერია ბურჟუაზიისა იქამდის, სანამდის ის ახლო უდგას სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მასთან მჭიდრო კავშირი აქვს და მის სისხლსა და ხორცს შეადგენს; იქამდის, მანამ მის ბრძოლით მოგებულ უფლებებს ეკონომიურ სფერაში სოციალ-დემოკრატია თავის სახელმწიფო საქმეებზე ზეგავლენით აკანონებს; იქამდის, მანამ მის მტკიცე კავშირს წინ არ უდგია მასზედ უფრო მაგარი კავშირი ხაზეინებისა.

მაგრამ, რაკი პროფესიონალური კავშირები, თავიანთ წევრთა რიცხვის და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებით გაამპარტავნებულნი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თანდათან შორდებიან,—„ნეიტრალობის“ ღალადებას მოყვებიან და „ახალი ტეორიის შექმნაზე“ დაიწყებენ ლაპარაკს, რაკი მათ მტკიცე კავშირებს წინ დაუდგება უფრო მტკიცე კავშირი ხაზეინებისა,—მაშინ-კი პროფესიონალურ მოძრაობას ფერი ეცვლება: რევოლიუციონური სული ეკარგება, თავდასხმის ტაქტიკა ავიწყდება და, კვლავ ჯანით სავსე, ახლა ის უძლურ და სულით დაცემულ ძუნწ მოხუცს ემსგავსება; თავდასხმითი ტაქტიკის მაგიერ ახლა თავისდაცვითი ტაქტიკას აღმერთებს, კვლავ რევოლიუციონური სულის თაყვანისმცემელი ახლა „მყუდროობას“ უკმევს გუნდრუკს და, კლასთა წინააღმდეგობის მაგიერ, კლასთა თანამშრომლობას ქადაგებს..

აი, რას ამბობს ამის შესახებ ა. ნემანსკი თავის ბროშურაში: „ნეიტრალური თუ პარტიული პროფესიონალური კავშირები“: ,,რომ პროფესიონალურ კავშირების ტაქტიკა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა-პრინციპს, ამის მაგალითს გვიჩვენებს ჩვენ ინგლისის მუშათა ტრედ-უნიონები. ინგლისის ტრედ-უნიონებს არ შეუძლიათ მიახწიონ იმ მიზნებს, რა მიზნებიც აქვს დასახული პროლეტარიატის კავშირებს. ძველ წვრილ-ხელოსანთა ცეხების სულ ტრიალებს ბევრ ტრედ-უნიონებში და ესეთივე სულის-კვეთებაა გამეფებული მის წევრებში. ყოველი ტრედ-უნიონი წარმოადგენს ცალკე კარჩაკეტილ სახელმწიფოს და ცხოვრობს თვის წევრთა ინტერესებით. მთლათ ყველა ტრედ-უნიონები-კი წარმოადგენენ ერთ განცალკევებულ ქვეყანას და ყველაფერს, რასაც-კი მათთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს, უგულოთ ეპყრობიან. თითქოს საქმე სულ სხვა პლანეტაზე ხდებოდეს. ზოგიერთი ტრედ-უნიონები არ უშვებენ თავიანთ პროფესიაში განსაზღვრულ რიცხვზე მეტ შეგირდებს, რადგან მათში ისინი ხედავენ მომავალ თავიანთ მოქიშპეებს. ინგლისში არიან პროფესიონალურ ორგანიზაციის ისეთი მუშები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან რვა საათის სამუშაო დღისა. მაგალითად, ნორტუმბერლენდისა და დიურგემის მთის მუშებს არ უნდათ, რომ კანონმდებლობითი გზით შემოღებული იყოს რვა საათის სამუშაო დღე, რადგანაც თვითონ შვიდი საათის სამუშაო დღე აქვთ მოპოვებული და არ ეხერხებათ, რომ მათმა თანაშემწეებმა, პატარა ბავშვებმა, ათი საათის მაგიერ რვა საათი იმუშაონ. ასეთი პროფესიონალური კავშირები კლასიურ ბრძოლას კი არ ეწევიან,—მხოლოდ ხელს უშლიან მას; ასეთი კავშირები—ინგლისის

პროლეტარიატის კავშირები კი არაა, არამედ ინგლისის მუშათა არისტოკრატიის ორგანიზაციებია“ ...

იგივე ნემანსკი განაგრძობს: „შარშანდელ კიოლნის პროფესიონალურ კავშირების კონგრესზე, სადაც დასმული იყო კითხვა პირველი მაისის უქმობაზე, ბევრ წევრს შეჰქონდა ის წინადადება, რომ არ ეუქმნათ ეს დღე საერთო გაფიცვით, რადგან იყო მაგალითები, რომ ამ მიზეზით ბევრმა მუშამ დაჰკარგა სამუშაოო... მარტო ეს არის საკმარისი, რომ დავინახოთ, თუ რამდენათ გამსჭვალულნი არიან ეს ვაჟბატონები, ეს თვალ-საჩინო ბელადნი პროფესიონალურ კავშირებისა, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობით და რევოლიუციონური სულით“.

ამავე კონგრესზე ერთი ორატორთაგანი თავგამოდებით იძახის: „აბა, მითხარით,— რა მოუტანა პირველ მაისის უქმობამ პროფესიონალურ კავშირებს?!“... და თითონვე უარყოფითი პასუხს იძლევა.

ამნაირათ, ჩვენ ცხადათ დავინახეთ, რომ პროფესიონალური კავშირები ბევრჯელ ივიწყებენ კლასთა ბრძოლას, ივიწყებენ სოციალიზმს და მის მაგიერ მთელ თავის ცხოვრების მიზნათ თავის წევრების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას აღიარებენ. მარქსის და ენგელსის დიდებული ლოზუნგის მაგიერ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—ისინი ახალი ლოზუნგით გამოდიან „ბრძოლის ველზე“: „პფენიგებო, შეერთდით!“ *). აი კვინტ-ესენცია ასეთი პროფესიონალური კავშირებისა!..

ამნაირათ, ჩვენ დავინახეთ, რომ პროფესიონალური კავშირები,—ეს საუკეთესო იარაღი კლასთა ბრძოლისა, ზოგჯერ და ზოგ პირობებში ხელსაც კი უშლიან კლასთა ბრძოლას.

მაშასადამე, თუ პროფესიონალური მოძრაობა აუცილებელი მომენტია კლასთა ბრძოლაში, თუ იგი საჭიროა ფართო მასსის შესაკავშირებლათ, თუ იგი „მეორე ხელია“ მუშათა მოძრაობისა, თუ უიმისოთ შეუძლებელია ძლევა-მოსილი კლასიური ბრძოლა, როგორც ამბობს კაუცკი, მაგრამ, თუ ამასთანავე ეს საუკეთესო იარაღი ზოგჯერ ჩლუნგდება და ზოგიერთ დროს კლასიურ ბრძოლის წინააღმდეგაც-კი მოქმედობს,—სოციალ-დემოკრატიის ვალია, გამოიკვლიოს ამის მიზეზები და ისე დააყენოს პროფესიონალურ კავშირთა საქმე, რომ ყოველი ზემოთ ნაჩვენები ნაკლი თავიდან ააცდინოს მას, და, რაც შეიძლება, უკეთესათ გამოიყენოს თვის საბოლოო მიზნის, სოციალიზმის მისახწევათ.

ყველაზე უწინ, ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ პროფესიონალური კავშირები არ უნდა ატარებდენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელს, მასში შესვლა ყველას უნდა შეეძლოს, მიუხედავათ იმისა, არის ის სოციალ-დემოკრატი, თუ არა.

მასში ადგილი უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც კი შეიგნო, რომ მუშათა განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მუშებისავე ბრძოლით. ეს საჭიროა ფართო მასსის შესაკავშირებლათ. მაგრამ, რასაკვირველია, მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ პროფესიონალური კავშირები სულ დამოუკიდებელნი უნდა იყვენ სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან. პირიქით, ჩვენ ყოველთვის შეურიგებელი მტრები უნდა ვიყოთ პროფესიონალურ კავშირთა ისეთი „ნეიტრალობისა“, რომელიც დღეს გამეფებულია გერმანიაში და რომელმაც ისეთი სამწუხარო ნაყოფი გამოიღო, როგორც ეს ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენეს.

აი, რას ამბობს როზა ლიუქსემბურგი „ნეიტრალობის“ მომხრე რუსეთელ ამხანაგების შესახებ: „მათ ავიწყდებათ, რომ „ნეიტრალობა“ ჩვენს (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის) იდეალსა და წინათ მოფიქრებულ ტაქტიკურ მიზანს არ შეადგენს, არამედ იგი ძალათ მოგვახვია თავზე რეაქციონურ-პოლიციურმა ტერორმა... გერმანიის პროფესიონალური კავშირები არის პირმშო შვილი არა რევოლიუციონური ეპოქისა, არამედ შედეგია ოცდა-ათის წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ-პარლამენტარული ეპოქის პოლიტიკური და სოციალური გაყუჩებისა‘‘... ცოტა ქვევით იგი აფრთხილებს რუსეთელ ამხანაგებს ,,მონური მიბაძვისაგან‘‘. ამნაირათ. სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგი ,,ნეიტრალობა‘‘ კი არ უნდა იყოს, არამედ იგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ, რაც შეიძლება, დაუახლოვოს პოლიტიკური ორგანიზაციები პროფესიონალურ ორგანიზაციებს; იგი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება, მეტი იდეიური გავლენა იქონიოს მათზე; ყოველთვის უნდა ცდილობდეს მათში რევოლიუციონური სულის გაღვიძებას. ამიტომ, საჭიროა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველი წევრი შედიოდეს პროფესიონალურ ორგანიზაციაში, უნდა ეწეოდეს იქ ფარული სოციალ-დემოკ. პროპაგანდა-აგიტაციას. ყოველთვის უნდა ცდილობდეს,—დაანახოს თავის უპარტიო, ჯერ კიდევ გამოუჩრჩნელ ამხანაგებს, რომ მუშათა განთავისუფლებისთვის არაა საკმარისი მარტო ეკონომიური ორგანიზაციები, რომ მისთვის აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციონური გზით სვლა, საჭიროა პოლიტიკური ორგანაზაციებიც. იგი უნდა უპირდაპირებდეს რეფორმიზმს და რევიზიონიზმს—რევოლიუციონიზმს და უჩვენებდეს მათ ღირსება-ნაკლულევანებას.

ერთი სიტყვით, ფართოთ უნდა იცნობდეს სოციალ დემოკრატიულ პროგრამა-მინიმუმს და პროგრამა-მაქსიმუმს. მაგრამ, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ეს მუშაობა უნდა ხდებოდეს არა ოფიციალურათ—პარტიის სახელით, არამედ იგი კერძო ხასიათს უნდა ატარებდეს. ეს საჭიროა მისთვის, რომ ფართო მასსამ არ იუკმეხოს, არ გაუფრთხეს მას.

ერთი სიტყვით, პარტიამ ერთი ხელით ორი კურდღელი უნდა დაიჭიროს: ერთის მხრივ, პროფესიონალური კავშირები უნდა გამოიყენოს, როგორც იარაღი მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მეორე მხრივ, როგორც საუკეთესო ფართო ნიადაგი სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა-აგიტაციისთვის.

აი, მხოლოდ ამ მხრივ, შეგვიძლია გამოვიყვანოთ პროფესიონალური კავშირები კლასთა ბრძოლის გასავითარებლათ! აი, მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია შევანარჩუნოთ მათ რევოლიუციონური როლი; აი, მხოლოდ ამ მხრივ შეგვიძლი გადავაქციოთ პროფესიონალური კავშირები სოციალიზმისთვის მებრძოლ არმიათ; მხოლოდ ამ მხრივ შეგვიძლია ავიცდინოთ თავიდან ის ნაკლი, რა ნაკლიც დიდ ზიანს აყენებს გერმანიის, ინგლისის და სხვა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების პროლეტარიატს და მის საერთო კლასიურ ბრძოლას!.

იკსი.

---

*) პფენიგი—ნემეცური ფულია, უდრის კაპეიკის 1/2-ს.

სახალხო მასწავლებელთა კავშირი.

—

სახალხო მასწავლებელი—ხალხის მასწავლებელი,—რა დიადი სიტყვებია! სახალხო მასწავლებელი, ესე იგი, ხალხის აღმზრდელი, ხალხის გონების გამასპეტაკებელი, წყვდიადით მოცულ ხალხის ბნელეთიდან ამომყვანი! სახალხო მასწავლებელი—ეს ლამპარია სოფლის, ეს აღმზრდელია მომავალ თაობის', რომელზედაც ჩვენ დიდი იმედები გვაქვს დაპყრობილი. დიახ, სახალხო მასწავლებელთ მძიმე ვალი აწევთ კისერზე, და ისინიც, შეძლების და-გვარათ, ასრულებენ თავის დანაკისრს! შრომა მასწავლებლებისა მძიმე და აუტანელია; დილიდან ნაშუადღევის ორ საათამდე ტვინის გამომლაყებელი, თავდაუზოგველი ჩიჩინი მოსწავლე-ახალგაზდობისადმი, ნაშუადღევიდან შუაღამემდე მოსწავლეების რვეულების სწორება, დირექტორის ან ინსპექტორის მისართმევი „რაპორტების" და „ოტნოშენიების" წერა. დიახ, მასწავლებელთა შრომა ეს შეუდარებელია, მძიმეა, და, აი, ამ მძიმე და აუტანელ შრომაში სახალხო მასწავლებელნი, ეს ღატაკთა შვილების აღმზრდელნი, თვეში იღებენ 20—25 და არა უმეტეს 30 მანეთისა მაშინ, როდესაც გიმნაზიის და საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები ამ საფასურს თავიანთ შრომაში ერთ საათს იღებენ.

ხვედრი სახალხო მასწავლებელთა: აუტანელი შრომაა, გონებრივ ერთ წერტილზე შეჩერება, შიმშილი, გაჭირვება, უსახლ-კარობა და ცოლ-შვილის სიტიტვლე! ცხოვრებას გაუმჯობესება უნდა, ნათლათ ხედავთ ამას, მასწავლებელნო!. ვინ დაგიხსნის თქვენ, ვინ გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას?! არავინ, გარდა თქვენი თავისა და თქვენებრ დატანჯულ ამხანაგებისა. გშიათ—საყოფი პური არა გაქვთ, გწყურიათ—საყოფი სასმელი არა გაქვთ, გცივათ - ღირსეული თავშესაფარი ჭერი არა გაქვთ! წიგნები გინდათ, გსურთ განვითარდეთ, შეიგნოთ ამ ქვეყნის დუხჭირი ცხოვრება, რომ ხალხის წინაშე, ხალხის აღმზრდელნო, ცოდნით აღჭურვილნი წარსდგეთ, მაგრამ ამაოთ!.. ფული არა გაქვთ, რომ თქვენი სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოთ! გაზეთი გინდათ, გსურთ გაიგოთ ქვეყნის ამბავი, რომ შემდეგ ეს ამბები სხვას გაუზიაროთ, მაგრამ აქაც ვერ აკმაყოფილებთ ნახევრათ თქვენს მოთხოვნებს, ვინაიდან არ არის შაური გაზეთის საყიდლათ! ხალხის აღმზრდელნო! თუ გსურთ რომ თქვენ აუტანელ ცხოვრებას თავი დაახწიოთ, ყველა სახალხო მასწავლებლებმა (როგორც საერო, ისე სამრევლომ, ქალმა და ვაჟმა, განურჩევლათ ეროვნებისა) შეჭკარით იქაც, სადაც ესეთი არა გაქვთ—სახალხო მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირი—და სადაც-კი გაქვთ განამტკიცეთ ესეთები. შეერთებულ ძალით თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ თქვენი ცხოვრება და დღევანდელ არა-რად ქცეულ თქვენს ცხოვრებას გაუმჯობესების ბეჭედი დაასვათ! შეერთებულის ძალით თქვენ შეგიძლიათ შექმნათ სახალხო მასწავლებელთა ჩინებული ბიბლიოთეკა, სადაც უფასოთ ისარგებლებენ სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრნი. შეერთებულის ძალით, მასწავლებელნო, თქვენ შეგიძლიათ მოიწვიოთ ლექტორნი და საძსახურიდან თავისუფლების დროს (каникулярное время) თვითგანვითარებას დაეწაფოთ. გაიხედ-გამოიხედეთ აქეთ-იქით, მიყრუებულ პროვინციებში გადახვეწილო ხალხის მასწავლებლო, ყველა პროფესიის მუშა-ხალხი ძმურად უწვდიან ერთმანეთს ხელს, და საერთო მტრის წინააღმდეგ სოლიდარულათ მიეჭანებიან წინ. ყველა იგნებს დღეს, რომ გამარჯვება ერთობაშია, და თქვენც უნდა შეიგნოთ, რომ თქვენს ტირილს, გოდებას, შიმშილს, გაჭირვებას, მხოლოდ და მხოლოდ

ფელეტონი

ჩვენ მჭედლები ვართ!..

—

ჩვენ მჭედლები ვართ...
ტანჯულ-დაჩაგრულთ ოხვრა-კვნესა, ნაღველ-ცრემლია—
აი, რაზე ვჭედთ, აი რაა ჩვენი გრდემლია!
ჩვენ მჭედლები ვართ...
მერმისის რწმენა, წმინდა რწმენა, ოქროს-ფერია—
აი, რითი ვჭედთ, აი რაა ჩვენი კვერია!
ჩვენ მჭედლები ვართ...
მქუხარე სიტყვა, ანთებული, გულის მწველია—
აი, რა არის ჩვენი ქურა-საბერველია!
ჩვენ მჭედლები ვართ...
ჩვენს სამჭედურში არ ჩაქრება ნაკვერცხალია,
სანამ არ გავჭედთ, რის გაჭედის გვაძევს ვალია!
ჩვენ მჭედლები ვართ...
„ქვეყნის მარილნო"! მოიხარეთ ურცხვი ქედია!
აქ იჭედება პროლეტარის, მუშის ბედია!

შ.

* * *

ამხანაგებო, შეეერთდეთ,
ხელი ხელს მივცეთ ძმურათა;
დავსძახოთ კრიმანჭულები
ტკბილათ და საამურათა.

—

გვეყო ამდენი მოთმენა
და უნაყოფო ძილია;
ქეჩოში ჩავკრათ სუყველას,
ვინც ჩვენზედ გაბღენძილია.

—

გაიგეს, ძალა ჩვენშია,
ნერწყვი მოადგათ ყველასა;
ვინ გინდა, ჩვენ არ გვპატრონობს
და არ გვპირდება შველასა!

—

ჩუმათ-კი ჩვენს წინააღმდეგ,
ხშირად მართავენ კრებასა,
კავშირებს კრავენ და უნდათ
დავყვეთ იმათსა ნებასა.

—

მაშ, ძმებო, ჩვენ-კ შევკავშირდეთ
და ავიმაღლოთ ხმებია,
აწი გვეყოფა მონობა,
ნულარ ვიქნებით ყმებია.

—

ერთმანეთს ხელი მოვხვიოთ,
გავხდებით უთვალავია;
ქვეყანას გადავაბრუნებთ
ჩვენ თუ ავმართეთ მკლავია.

თეო.

ლოდ შეერთებული ძალა მოუღებს ბოლოს. მაშ, გაუმარჯოს სახალხო მასწავლებელთა მტკიცე კავშირს!.

ილია ბახტაძე.

კვირიდან კვირამდე.

მთავრობა ასეთია, მთავრობა ისეთია! აი რა აკერია დღეს პირზე მთელ რუსეთის ხალხს, გარდა „ჰეშმარიტ რუსისა". ვინ გინდა რომ დღეს მთავრობის უკმაყოფილო არაა, ვინ გინდა რომ, თუ აშკარათ არა, გულში მაინც მთავრობას არ ლანძღავდეს. ჟურნალ-გაზეთებში ხომ ერთ პწკარს ისეთს ვერ წაიკითხავთ, რომ მთავრობაზე არ ეწეროს რამე და ყოველივე მის მოქმედებას არ კიცხავდენ. საბრალო მთავრობა! ყველა მისი მტერია! მერე და რა დააშავა ისეთი რუსეთის მთავრობამ, რომ ყველა მას კიცხავს? განა ვისთვის არის ღვთისგან დაწესებული მთავრობა? განა ყოველივე მისი მოქმედება ხალხის საკეთილდღეოთ არ არის მიმართული? განა ხალხისთვის არ იღვწის ჩვენი მთავრობა? დიახაც რომ იღვწის! ავიღოთ თუ გინდ მაგალითი: ჩვენი მთავრობა ამ ბოლო დროს დარწმუნდა, რომ ხალხისთვის აუცილებლათ საჭირო იყო დუმა. ეს აზრი უცბათ დაებადა მთავრობას, სთქვა და გადასჭრა. მოიწვია დუმა. უცბათ მიწვეული დუმა, უცბათ გარეკა! რა ვუყოთ მერე, რომ გარეკა?! იმიტომ გარეკა, რომ მეორე დუმა უნდოდა!.. ეხლა მეორე დუმა უნდა შეადგინოს, მარა საქმე იმაშია, რომ მეორე დუმა უსათუოთ „ხულიგანური" უნდა დარჩეს. პირველ გამოცდილებით დარწმუნდა მთავრობა, რომ თუ ხალხისთვის არა, მისთვის აუცილებლათ საჭიროა ხულიგანური დუმა. მერე რა? ხულიგანს ხულიგანი უნდა! ეს ასეც უნდა იყოს. ამ აზრის სისრულეში მოსაყვანათ ის არავითარ საშუალებას არ ზოგავს. ის ცდილობს ყოველივე საშუალება მოუსპოს ხალხს, რომ მისი მოწინააღმდეგეები არ გაიყვანონ დუმაში. სხვა საშუალებებს გარდა, მან ამ ბოლო დროს ერთი ისეთი გენიოსური საშუალება მოიგონა, რომ მას ვერც-ერთი ქვეყნის მთავრობა ვერ დაუდგება წინ. მოახლოვდა არჩევნების ვადა და მან გამოსცა საარჩევნო ინსტრუქცია. შარშანდელი საარჩევნო ინსტრუქციის ძალით თითქმის არჩევნების საქმის მთელი წარმოება ადგილობრივ კომიტეტების ხელში იყო. ეხლა კი გენიოს მთავრობას არჩევნების გაძღოლა სავსებით პოლიციელებისთვის მიუნდვია. აბა პოლიციელებს ვინ აჯობებს საქმის წარმოებაში! პირველ დუმის არჩევნების დროს საარჩევნო ბლანკებს ქალაქის გამგეობა აგზავნიდა. ეხლა კი ბლანკებს პოლიცია არიგებს და, რასაკვირველია, ოპოზიციის წევრები ამ ბლანკებს „რაღაც შემთხვევით" ვერ მიიღებენ. ასეთ შემთხვევებში ამომრჩევლებმა უნდა ეცადონ თავიანთ უფლებების აღდგენას. მაგრამ, საქმეც ამაშია, რომ წინათ ეს ადვილი იყო, მას უნდა წარედგინა პიროვნების მოწმობა პოლიციიდან, ან ქალაქის გამგეობიდან, ეხლა კი უნდა წარადგინოს: პოლიციიდან, მომრიგებელ-მოსამართლიდან, ან ერობის უფროსიდან, ან ნატარიუსიდან და ან მღვდლიდან. მოწმობის მიღების დროს, რასაკვირველია, კარგათ დააკვირდებიან მას და, თუ „ჰეშმარიტი რუსი" არაა, მოწმობას ვერ მიიღებს. ამ ახალი ინსტრუქციით სასტიკათ აკრძალულია არჩევნების დროს აგიტაციის გაწევა სიტყვით იქნება ეს თუ ჟურნალ-გაზეთების შემწეობით. სასტიკათ აკრძალულია საარჩევნო დარბაზში გაჩერება, როცა ამრჩეველმა უკვე გადასცა საარჩევნო ბარათი; ის მაშინვე უნდა გავიდეს დარბაზიდან. ის ამრჩეველი, რომელსაც უარს ეტყვიან ბარათის მიღებაზე, ერთ წუთსაც არ უნდა გაჩერდეს საარჩევნო დარბაზში. ეს იმას ნიშნავს, რომ, ალბათ, კომისიის წევრები გაშინჯავენ

ანარხიზმი თუ სოციალიზმი? *)

II

მატერიალისტური ტეორია.

„ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ მათი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას"...

კ. მარქსი.

დიალექტიური მატერიალიზმი არ არის მარტო დიალექტიური, ის იმავ დროს მატერიალისტურიც არის—თუ მისი მეტოდი დიალექტიურია, სამაგიეროთ, მისი ტეორია მატერიალისტურია. ჩვენ ვიცნობთ უკვე დიალექტიურ მეტოდს.

რა არის მატერიალისტური ტეორია?

ყველაფერი იცვლება ქვეყანაზე, ყველაფერი მოძრაობს ცხოვრებაში, მაგრამ რანაირათ ხდება ეს ცვლილება და რა სახით წარმოებს ეს მოძრაობა?

ჩვენ ვიცით, მაგალითათ, რომ ერთხელ დედამიწა ანთებულ ცეცხლს წარმოადგენდა, შემდეგ ნელ-ნელა გაცივდა, მერე მცენარეულობა და ცხოველები დაიბადა, ცხოველების განვითარებას მაიმუნთა გვარეულობა მოჰყვა და, შემდეგ, ყველა ამას მოჰყვა ადამიანის წარმოშობა.

ასეთი იყო საერთოთ ბუნების განვითარება.

ვიცით აგრეთვე ის, რომ არც ცხოვრება ყოფილა ერთ დონეზე შეჩერებული: დრო იყო, როცა ადამიანები კომუნისტურათ ცხოვრობდენ,—მაშინ ისინი პირველ ყოფილი მონადირეობით ირჩენდენ თავს, ტყე-ტყე დახეტიალობდენ და საჭმელს ასე შოულობდნენ; დადგა დრო, როცა პირველყოფილი კომუნიზმი დედაკაცთა ბატონობით შეიცვალა,—მაშინ ადამიანები, მეტ ნაწილათ, მეჯოგეობით იკმაყოფილებდენ მოთხოვნილებას; შემდეგ მამაკაცთა ბატონობა უფალ-მონური ცხოვრებით შეიცვალა,—მაშინ ადამიანები შედარებით უფრო განვითარებული მიწათმოქმედებით ირჩენდენ თავს; უფალ-მონურ ცხოვრებას მოჰყვა ბატონ ყმური ცხოვრება და შემდეგ ყველა ამას მოჰყვა ბურჟუა-პროლეტარული ცხოვრება.

ასეთი იყო საერთოთ ცხოვრების განვითარება.

დიახ, ყველა ეს კარგათ ვიცით... მაგრამ რანაირათ ხდებოდა ეს განვითარება: შეგნება იწვევდა ,,ბუნებისა'' და ,,ცხოვრების" განვითარებას თუ—პირიქით—,,ბუნებისა'' და ,,ცხოვრების'' განვითარება იწვევდა შეგნების განვითარებას?

ასე აყენებს კითხვას მატერიალისტური ტეორია.

ზოგნი ამბობენ, რომ ,, ბუნებას'' და ,,ცხოვრებას'' წინ უსწრებდა მსოფლიო იდეა, რომელიც შემდეგ საფუძვლათ დაედო მათ განვითარებას,—ასე რომ „ბუნებისა" და „ცხოვრების" მოვლენათა განვითარება ეს, ასე ვთქვათ, გარეგანი ფორმაა, უბრალო გამოხატულებაა მსოფლიო იდეის განვითარებისა.

ასეთი იყო, მაგალითათ, იდეალისტების მოძღვრება, რომელიც შემდეგ რამდენიმე მიმართულებათ გაიყო.

*) იხ. ,,ახ. დროება'' № 6.

ბარათებს!.. ეს არის ფარული კენჭის ყრა!!. ყველაზე საინტერესოა ის, რომ საარჩევნო ბლანკებზე უსათუოთ ქალაქის გამგეობის ბეჭედი უნდა იყოს დაკრული. ასე, რომ ამით ოპოზიციონურ პარტიებს საშუალებას უსპობენ ბლომათ დაარიგონ ბლანკები. არჩევნების დღეს იარაღში ჩამსხდარი პოლიცია სასტიკ თვალ-ყურს ადევნებს, რომ არავინ აგიტაცია არ გასწიოს და უკეთუ შეამჩნევს ან დარბაზში, ან კარიდორში ვინმეს, კინწის კვრით გააგდებს. ხულიგანებს, რასაკვირველია, სრული თავისუფლება ექნებათ მინიჭებული! ასე რომ, მთავრობის აზრით, ეს უკანასკნელი საშუალება გასჭრის და რუსეთის ხალხის საბედნიეროთ მეორე დუმა უსათუოთ „ხულიგანი“ იქნება. განა ასეთ თავდადებულ მოღვაწეობისთვის გასაკიცხი და საყვედურის ღირსია ჩვენი მთავრობა?!.

— ყველა რომ გასაკიცხი და საყვედურის ღირსი იყოს, დიდებული სტოლიპინი მაინც არაა, ის ხომ ბიუროკრატიულ მექანიზმის მთავარი ძარღვი გახდა. ყველა ეს გენიოსური აზრები თურმე სტოლიპინის გოგრამ შექმნა. მარტო მას არ შეუქმნია, მარა ყველაზე მეტი წილი მას უდევს თურმე. სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია! სტოლიპინსაც ბევრი მტრები გამოუჩნდა თურმე უმაღლეს წრეებში და უნდოდათ მისი ჩამოგდება, მარა საქმე სულ სხვა რიგათ დატრიალდა. მან გაიმარჯვა! მას დაავალეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მას დაავალეს უსათუოთ შეადგინოს „ხულიგანური დუმა“. მას ყოველივე უფლება მისცეს ამ აზრის სისრულეში მოსაყვანათ. სტოლიპინიც დატრიალდა ჯარასავით. ის საქმეს შეუდგა. ეპეს გარეშეა, ის ყოველივე ღონეს იხმარს, რომ საქმე კეთილათ დააგვირგვინოს. ხალხის ინტერესებისთვის ის თავს არ დაზოგავს...

— მთავრობაც ამ ბოლო დროს თავს არ ზოგავს მუშების ინტერესების გულისთვის. რაღაც ამ ბოლო დროს ძალიან თავს იცხელებს ის მუშებისთვის. ხან კანონებს სცემს, ხან თათბირს მართავს და სხვა. ამდენხანს სხვა-და-სხვა საქმეებით იყო გატაცებული და მხოლოდ ეხლა მოიცალა მუშებისთვის. ეხლა გადმოხედა მოწყალების თვალით, ეხლა მოინდომა მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავრობას ხომ ძალიან უყვარს მუშები! ის მისთვის უკანასკნელ ტყვიას არ დაზოგავს, ის მზათ არის ყოველივე სასტიკი ზომები მიიღოს მუშების ფეხ-ქვეშ გასათელათ და გასაყვლეფათ. ის მზათ არის ყოველივე უფლება წაართვას მუშებს. ის მზათ არის მთელი რუსეთი სატუსაღოთ გადააქციოს და ყველა მუშები შიგ დამწყვდიოს. აი, ამ მოსაზრებით, მთავრობა ცდილობს ამ ბოლო დროს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას! ჯერ ხომ სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეებს საუცხოო კანონი უძღვნა! რა გინდა ამ საუცხოო კანონით რომ არ მიანიჭა მოსამსახურეებს? რვა საათის სამუშაო დღის მაგიერ—12 საათი, კვირა-უქმე დღეებში დასვენების მაგიერ მუშაობა და სხვა. განა ამაზე მეტი სიკეთე იქნება! ეხლა სამრეწველო მუშებს მიყო ხელი. სავაჭრო სამინისტროსთან ამ მოკლე ხანში გაიხსნება თათბირი ამ კითხვის შესახებ. თავმჯდომარეთ იქნება ფილოსოფოვი. გვარი ხომ დიდებულია: „ფილოსოფოვი“, ფილოსოფოსი; მაშ „ფილოსოფოსზე“ უკეთესათ ვინ გადასწყვეტს ამ საკითხს! მან ისე იცის თურმე მუშათა კითხვა, როგორც ვირმა—ხურმა! მას თურმე ისე აინტერესებს მუშების მდგომარეობა, როგორც თათარს ღორის ხორცი. ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ უმეტესათ ალა-ხაზეინები. მუშების წარმომადგენლებს არ მიიწვევენ. უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები: მუშათა დაზღვევა, აკათმყოფობისა და უბედურ შემთხვევების დროს, შემნახველი კასები, სამუშაო დრო, სამკურნალო დახმარება, ჰიგიენური ბინები, სამრეწველო ინსპექცია,

---

ზოგნი კიდე ამბობენ, რომ ქვეყანაზე თაობითვე არსებობს ორი ერთმანეთის უარმყოფელი ძალა — იდეია და მატერია, შეგნება და „ცხოვრება“, რომ, თანახმათ ამისა, მოვლენებიც ორ წყებათ იყოფა—იდეალურათ და მატერიალურათ, რომელნიც ერთმანეთს უარჰყოფენ და ერთმანეთს ებრძვიან, —ასე რომ ბუნებისა და ცხოვრების განვითარება, ეს მუდმივი ბრძოლაა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის.

ასეთი იყო, მაგალითათ, დუალისტების მოძღვრება, რომელიც შემდეგ იდეალიზმივით რამდენიმე მიმართულებათ დანაწილდა.

მატერიალისტური ტეორია ძირიანათ უარჰყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს.

თქმა არ უნდა, რომ ქვეყანაზე ნამდვილათ არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენანი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ,ითომ ისინი უარჰყოფდენ ერთმანეთს, —პირიქით—იდეალური და მატერიალური მხარე ორი სხვა-და-სხვანაირი ფორმაა ერთი და იგივე ბუნების თუ ცხოვრებისა, ისინი უერთმანეთოთ წარმოუდგენელია, ერთათ არსებობენ, ერთათ ვითარდებიან და, მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ, ვითომ, უარყოფენ ერთმანეთს.

ამგვარათ, ძირიანათ ირღვევა ეგრეთ წოდებული დუალიზმი.

ერთი და განუყოფელი ბუნება ორ სხვა და-სხვანაირ ფორმაში გამოთქმული—მატერიალურში და იდეალურში; ერთი და განუყოფელი ცხოვრება ორ სხვა-და-სხვანაირ ფორმაში გამოხატული— მატერიალურში და იდეალურში,—აი, როგორ უნდა უყურებდეთ ბუნებისა და ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მატერიალისტური თეორიისა.

ამავე დროს მატერიალისტური ტეორია უარყოფს იდეალიზმსაც.

მართალი არ არის ის აზრი, რომ ვითომ იდეალური მხარე და, საერთოთ, შეგნება წინ უსწრებს თავის განვითარებაში მატერიალური მხარის განვითარებას. ჯერ ცოცხალი არსებანი არც-კი მოიბოვებოდენ, რომ უკვე არსებობდა გარეშე, ,,უსიცოცხლო'' ბუნება. პირველ ცოცხალ არსებას არავითარი შეგნება არ მოეპოვებოდა, მას მხოლოდ განძვინება შეეძლო და ოდნავათ ახლდა ცნობიერების პირველი ელემენტები. შემდეგ თანდათან ვითარდებოდა ცხოველებში ცნობიერება და ნელ-ნელა შეგნებაზე გადადიოდა, მიხედვით იმისა, თუ რამდენათ ვითარდებოდა მათი აგებულება და ნერვული სისტემა. მაიმუნი რომ მუდამ ოთხფეხზე მდგარიყო, ის რომ წელში არ გამართულიყო,—მისი ჩამომავალი ადამიანი თავისუფლათ ველარ ისარგებლებდა ფილტვებითა და ყელის ძაფებით და, ამგვარათ, ლაპარაკს ველარ შესძლებდა, რაც ძირიანათ შეაფერხებდა მისი შეგნების განვითარებას; ან კიდევ, მაიმუნი რომ ფეხზე არ დამდგარიყო,—მისი ჩამომავალი ადამიანი იძულებული იქნებოდა მუდამ ძარს ეკიდა და იქიდან ეკრიფა შთაბეჭდილებანი, მას შეძლება არ ექნებოდა მაღლა და გარშემო მიმოეხედნა, მას შეძლება არ ექნებოდა, მაშასა-

სამრეწველო სასამართლო, და სხვა. რასაკვირველია, ამ კითხვებს „ფილოსოფოსი“ და ხაზეინები მუშების სასარგებლოთ გადასწყვეტენ. ბედნიერია მუშები, რომ ასე იწუხებენ მათთვის თავს დიდებული „ფილოსოფოსი“ და ხაზეინები...

— ბედნიერია „ჭეშმარიტი რუსებიც!“ მთელი რუსეთი დღეს მათ ხელშია. მათ ალვირ-წახსნილ მოქმედებას აღარავითარი საზღვარი არა აქვს. დღეს ისინი მეორე მთავრობა გახდა რუსეთში. დღეს ყოველივე ძალა-უფლება მათ ხელშია. ყველაზე მეტათ თავისუფლათ ოდესაში დანავარდობენ თურმე. მათი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუქაქანია და წყალში თევზს. აბა უბრალო მომაკვდავ ადამიანს როგორ შეუძლია ქუჩაში გამოვიდეს მარტოთ-მარტო! ერთიც ვნახოთ გამოჩნდა ქუჩაში პროფესორი ან სტუდენტი, ან ცილინდროსანი, ვაი მათი ბრალი! ატყდება სროლა და „რეზინების“ შხუილი. სიკვდილს მხოლოდ ფეხმარდი გადურჩება. ამას წინათ ქუჩაში გამოსულა ფირმა ვოგაუს მოსამსახურე ვიღაც პერელმანი. ქუჩაში გამოსვლა და თეთრი გვარდიის თავდასხმა ერთი იყო! მას ხელათ ჩამოაცვეს თავზე ბაშლუღი, ჩაუტენეს პირში რაღაც მჩვარი, დასდვეს ეტლზე და სადღაც გააქანეს. როცა დანიშნულ ადგილზე მიიყვანეს, კითხეს თურმე,—იცი სადა ხარო? პერელმანმა ძლივს წამოილუღლუღა, „რუს ხალხის საჩაიეშიო“. „სტყუი!—დაუყვირეს მას—შენ ეხლა ბუგაევკაზე ხარ. ეხლავე მოვა ატამანი და ბოლოს მოგიღებს, რომ აგიტაცია ვეღარ გასწიო!“ ცოტა ხნის შემდეგ პერელმანს პურის ნატეხი ჩაუტენეს პირში და უთხრეს მოწამლულია და ეხლავ მოკვდებიო. თან რევოლვერით დაემუქრენ, თუ არ შეჭამე სულერთია მოგკლავთო. ერთმა მათგანმა მაჯის სინჯვა დაუწყო და თან იძახდა: „ეხლავე მოკვდებიო“. პერელმანმა საშინელი გულის რევა იგრძნო და გრძნობა დაკარგა. ჩქარა მოვიდა ატამანი და რიხიანათ დაიყვირა: „კიდევ გასწევ აგიტაციას! დაჰკარით ასი!“ თქმა და ცემა ერთი იყო. დაიწყო საშინელი ეგზეკუცია. სცემდენ პირის-სახეზე, ხელებზე, ზურგზე და სხ. როცა სულ ტყავი აძრეს, გამოათრიეს გარეთ, ჩააგდეს ეტლში და წაიღეს სადღაცა. მეორე დღეს სადღაც ქალაქის განაპირას იპოვნეს თხრილში პერელმანი. ასე დათარეშობენ ხულიგანები ოდესაში, მათ ხელს არავინ უშლის! ამ ბოლო დროს ჩვენ კურთხეულ თბილისშიაც დაიწყეს მოქმედება. უმთავრესათ დიდუბის ნაწილში დანავარდობენ. ღამე არ გაივლის ისე, რომ რევოლვერების ქახა-ქუხი არ ასტყდეს,--თავს ესხმიან გამვლელებს. ერთი მხრით, ხულიგანები და, მეორე მხრით, ხულიგანური მთავრობა —ერთი მეორეს ექიშპება რუსეთის სახელმწიფოს ხელში ჩასაგდებათ. ძნელი გადასაწყვეტია, რომელი მათგანი გამოვა გამარჯვებული! მოსალოდნელია, ერთსაც და მეორესაც ბოლო მოეღოს და ხალხის ბედი ხალხის ხელში გადავიდეს. მანამდე კი, დეე, ინავარდონ ბნელმა ძალებმა! ნუ დაუშლით უკანასკნელ წუთების თავისუფლათ გატარებას.

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თ ბ ი ლ ი ს ი.

თბილისის სტოლართა მდგომარეობა.

(სტოლართა და პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს საყურადღებოთ).

მგონი, არც-ერთ ხელობაში, არც ერთ პროფესიაში ისე აბუჩათ აღებული, გაყვლეფისაგან წელში გატეხილი და გათახსირებული, როგორიც არიან ჩვენ სტოლიართა პროფესიაში, არ მოიპოვება.

ჩვენ სახელოსნოს გამგეობას წყაროებიდან უკვე ვიცით, თუ არ ვცდებით, რომ ჯერ კიდევ ამ 4—5 წლის წინათ თბილისში სტოლართა პროფესიის ხელოსანი, სამი ათასამდის

დამე, ოთხფეხზე მეტი შთაბეჭდილებანი მიეწოდებინა ტვინისთვის და, ამგვარათ, მისი შეგნების საქმე ძირიანათ შეფერხდებოდა.

გამოდის, რომ თითონ შეგნების განვითარებისთვის საჭირო ყოფილა ორგანიზმის ასეთი თუ ისეთი აგებულობა და ნერვული სისტემის განვითარება.

გამოდის, რომ იდეალური მხარის განვითარებას, შეგნების განვითარებას, წინ უსწრებს მატერიალური მხარის განვითარება, გარეშე პირობების განვითარება,—ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერიალური მხარე იცვლება და შემდეგ შესაფერისათ იცვლება შეგნება, იდეალური მხარე.

ამგვარათ, ბუნების განვითარების ისტორია ძირიანათ არღვევს ეგრეთ წოდებულ იდეალიზმს.

ესევე უნდა ითქვას ცხოვრების განვითარების ისტორიაზე.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ თუ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვანაირი აზრებითა და სურვილებით იმსჭვალებოდენ ადამიანები, ეს იმისი ბრალია, რომ სხვადასხვა დროს სხვა-და-სხვანაირათ ებრძოდენ ბუნებას თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და, ამისდა თანახმათ, მათი ეკონომიური განწყობილებაც სხვა-და-სხვანაირათ ეწყობოდა. დრო იყო, როცა ადამიანები საერთო ძალღონით, კომუნისტურათ ებრძოდენ ბუნებას,—მაშინ მათი საკუთრებაც კომუნისტური იყო და ამიტომ იყო, რომ მაშინ შენ-ჩემობის არა ესმოდათრა, მათი აზროვნებაც კომუნიზმით იყო გაჟღენთილი; დადგა დრო, როცა წარმოებაში შენ-ჩემობა შეიპარა,—მაშინ საკუთრებამაც კერძო, ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღო და ამიტომ იყო, რომ ადამიანების აზროვნებაც შენ-ჩემობით გაიმსჭვალა; დგება დრო, დღევანდელი დრო, როცა წარმოება ისევ ამხანაგურ ხასიათს იღებს,—მაშასადამე, ჩქარა საკუთრებაც ამხანაგურ ხასიათს მიიღებს და სწორეთ ამიტომ არის, რომ ადამიანების აზროვნება თანდათან სოციალიზმით იმსჭვალება.

უბრალო მაგალითი. წარმოიდგინეთ მეჩექმე, რომელსაც პაწია სახელოსნო ჰქონდა, მაგრამ რომელმაც ვერ გაუძლო მსხვილ ხაზეინების კონკურენციას, მიკეტა სახელოსნო და, ვთქვათ, ადელხანოვს დაექირავა. ის შევიდა ადელხანოვის ფაბრიკაში, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ მუდმივ დაქირავებულათ გადაიქცეს, არამედ იმიტომ, რომ ფული შეაგროვოს, თანხა შეადგინოს და შემდეგ ისევ თავისი სახელოსნო გააღოს.

როგორც ხედავთ, ამ მეჩექმის მდგომარეობა უკვე პროლეტარულია, მაგრამ მისი შეგნება ჯერ კიდევ არ არის პროლეტარული, ის თავით-ფეხამდე წვრილ ბურჟუაზიულია; როგორც ხედავთ, ამ მეჩექმის წვრილ ბურჟუაზიული მდგომარეობა უკვე გაქრა, აღარ არსებობს, მაგრამ მისი წვრილბურჟუაზიული შეგნება კი ჯერ არ გამქრალა, ის უკან ჩამორჩა მდგომარეობას.

ცხადია აქაც, ცხოვრებაშიაც ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ ადამიანების მდგომარეობა იცვლება და შემდეგ შესაფერისათ იცვლება მათი შეგნება.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს მეჩექმეს. მას, როგორც ვი-

ადიოდა; ამას სახელოსნო სამართველოც ამოწმებს და, რა საკვირველია, დღეს უფრო მეტი უნდა იყოს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ, რომელ ქუჩაზედაც-კი გაივლით, უკანასკნელი 5 და 10-მდე და მეტიც სტოლარის სახელოსნო შეგხვდებათ, სადაც ან ერთი ან ორი ხელოსანი მუშაობს. უმრავლესობა მათგან ბაზრისთვის და ბაზრისაევე ჩარჩებისთვის („ბარიშნიკებისოვის") მუშაობენ, თითქმის მუქთათ; მივარდნილ უბნებში და სახლებში ხომ აუარებელი მომუშავენი არიან და უსაქმოთ დარჩენილებს ხომ ასობით შეხვდებით ქუჩებში! აი, ამოდენა ხალხს თავის რჩენა უნდა, არსებობა... თავის რჩენის საშუალება-კი მუშისთვის სამუშაოს შოვნაა, უმუშევრობა-კი მუშას შიმშილით სიკვდილს უქადის. აი, ამიტომ მუშა-ხელოსანს, რადგან სადმე ზავოდ-ფაბრიკაში სამუშაო ვერ უშოვნია, ან სად მოიპოვებენ, როცა ჩვენში ჯერ ამ პროფესიაში ზავოდ-ქარხნები ისე იშვიათია,—და ამოდენა უთვალავი უსაქმოთ დარჩენილი მუშა-ხელოსანი სად უნდა მოთავსდენ?!.. და, აი, მიზეზიც ეს არის რომ, მიუხედავათ ამისა, ზოგიერთ უსაქმოთ დარჩენილებსაც მოუხერხებიათ და უვალიათ, თუ „ბარიშნიკისთვის" წინათვე გამოურთმევიათ მასალის ფული, ანუ თავიანთ ხელმომჭირვეობით უშოვნიათ ორიოდ გროში, უყიდნიათ თითო ხელი იარაღი, მასალა და დაუქირავებიათ რომელიმე ნამიანი სარდაფი, ანუ თავის საცხოვრებელ ბინის კუთხე მოუცლია და მუშაობს... ესენი აკეთებენ ბაზარზე გასაყიდ საქონელს, ანუ ჩარჩისგან აღებულ ვალში მუშაობენ. რასაკვირველია, რომ ეს ზემოხსენებული მუშა-ხელოსნები თავიანთ ქარგალ-შეგირდებით, ავეჯით მოვაჭრე ჩარჩებსა და აგრეთვე ბაზრის სხვა მოსიარულე ჩარჩებს უვარდებათ კლანჭებში. ესენი სულ მუქთად იგდებენ ხელში საქონელს.

ახლა ვნახოთ, თუ თითონ მშრომელს რაღა რჩება თავის

ცით, აზრათ აქვს ფული მოაგროვოს და შემდეგ თავისი სახელოსნო გააღოს. მუშაობს გაპროლეტარებული მეჩექმე და ხედავს, რომ ფულების შეგროვება მეტის-მეტათ ძნელია, ხელფასი საცხოვრებლათაც ძლივს ყოფნის; გარდა ამისა ის ამჩნევს, რომ კერძო სახელოსნოს გაღება არც ეგრე სანუკვარია: დუქნის ქირა, მუშტრების კაპრიზი, ქესატობა, მსხვილ ხაზეინების კონკურენცია და სხვა ამისთანა დავიდარაბა; აი რამდენი დარდი აწუხებს კერძო ხელოსანს, მაშინ როდესაც პროლეტარი შედარებით უფრო თავისუფალია ამისთანა დარდებისაგან, მას არც მუშტარი აწუხებს, არც დუქნის ქირა, ის დილით მოვა ქარხანაში, საღამოთი წავა „არხეინათ" და შაბათს არხეინათვე ჩაიჩხრიალებს „პალუჩკას". აქ პირველათ ეკვეცება ფრთები მის წვრილ ბურჟუაზიულ ოცნებას, აქ პირველათ ესახება გულში პროლეტირული სურვილები; მიდის დრო და ჩვენი მეჩექმე ხედავს, რომ ფული აღარ ყოფნის, ხელფასის მომატება მეტის-მეტი საჭიროა მისთვის, ამავე დროს ის ამჩნევს, რომ მისი ამხანაგები რაღაცეებსაც ლაპარაკობენ რაღაც კავშირებზე და გაფიცვებზე; აქ კი იგებს ჩვენი მეჩექმე, რომ მისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ ხაზეინთან ბრძოლაა საჭირო და არა საკუთარ სახელოსნოს გახსნა. ის შედის კავშირში, ერთვის გაფიცვის ტალღებში და ჩქარა სოციალისტურ იდეებსაც ეწაფება...

ამგვარათ მეჩექმის მდგომარეობის შეცვლას ბოლოს და ბოლოს თან მოჰყვა მისი შეგნების შეცვლა,—ჯერ მისი მდგომარეობა შეიცვალა და შემდეგ, რამდენიმე ხნის მერე, შესაფერათ შეიცვალა მისი შეგნებაც.

გაკეთებულ და ნაოფლარ საქონელში. ხელოსანი აკეთებს ერთ ნაჭერს რომელიმე საქონელს, ვითომდა ექვს დღეში, ერთ საშუალო ღირსების კამოდს. მკეთებლის ანგარიშით, ვითომდა მასალით და ხელფასით, ეს კამოდი ჯდება 18 მანეთი და 20 მანეთად ყიდის, მინიმუმ ჯამაგირს გარდა ზედ-მეტსაც 2 მანეთს იღებს, რადგან მისი ანგარიშით, 9 მანეთის მასალაა და 9 მანეთი ხელფასია და 2 მანეთიც ზედ-მეტი. აბა, ახლა განვიხილოთ მართლა ასეა? რომელ ხელოსანმაც გინდა იანგარიშოს, დღევანდელ პირობებში მასალის ფასი ყველასათვის ერთია და ყველა ხელოსანიც დამეთანხმება, რომ ერთ კამოდზე მიდის 10 და 13 მანეთამდის მასალა, თუ მივიღებთ მხედველობაში სახლის ქირას, წასვლა-მოსვლას, მოცდენას მასალის ყიდვაში. ჩვენი ამგვარი ანგარიშით, ერთ კამოდზე იხარჯება 13 მანეთამდე მასალა და სხვა.

მუშა ხელოსნის ხელფასი, თუ მან ადამიანურად იმუშავა —დღეში 8 საათი, და მისი დღიური ჯამაგირიც მინიმუმში რომ ვიანგარიშოთ—1 მ. 50 კ. დღეში,—გამოდის, რომ ერთი კამოდის გაკეთებას ხელოსანი უნდება 14—15 დღეს და ხელფასი-კი 15 დღისა შეადგენს 22 მ. 50 კ.—ასე რომ ხელოსანს ერთი საშუალო ღირსების კამოდი მასალით და ხელფასით უჯდება 32—35 მანეთამდე. ამ ღირებულებას-კი ყიდის ხელოსანი 15 და 20 მანეთამდე, რადგან იგი ანგარიშობს 6 დღის სამუშაო ხელფასს 9 მანეთს და მასალისას 9 მანეთს, ეს-კი ნამდვილათ ასე არ გამოდის. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოდ ნათქვამს თითქოს 6 დღეში გაუკეთებია კამოდი ხელოსანს, მაშინ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, თუ დღეში რამდენ საათს მუშაობს ხელოსანი. ასეთი მუშა ხელოსნები, რომლებიც მარტო ბაზარს და ჩარჩებს შესაქერიან, მუშაობას იწყებენ დილის 4—5 საათ. და საღამოს 10—12 საათამდის აგრძელებენ. აქედან-კი ის დასკვნა გამოდის, რომ

ესევე უნდა ითქვას კლასებზე და მთელ საზოგადოებაზე.

დიახ, ცხოვრებაშიაც ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერიალური პირობები იცვლება და შემდეგ ამისდა თანახმად იცვლება ადამიანთა აზროვნება, მათი ზნე-ჩვეულებანი და მსოფლიო მხედველობა.

ამიტომ ამბობდა მარქსი:

„ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ მათი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებასო".

თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობებს და სხვა ამისთანა მოვლენას შინაარსს დავარქმევთ,—მაშინ იდეალურ მხარეს, შეგნებას და სხვა ამგვარ მოვლენას ფორმა უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგა ცნობილი მატერიალისტური თქმულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსსო.

და რადგანაც მარქსის აზრით ეკონომიური განვითარება ცხოვრების „მატერიალური საფუძველია", მისი შინაარსია, ხოლო იურიდიულ-პოლიტიკური და რელიგიოზურ-ფილოსოფიური განვითარება კი ამ შინაარსის „იდეოლოგიური ფორმაა", მისი „ზედნაშენია",—ამიტომ მარქსი ამბობს: „ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთათ აღრე თუ გვიან იცვლება მთელი ზედ-ნაშენიცო".

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ მარქსის აზრით შინაარსი უფორმოთ შეიძლებოდეს,

რომ ,,სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირე-ბის''... მხნეთ ამხანაგ[illegible]ო! დამშვიდებით შეხვდით თვით შიმშილით შავ ბნელ სიკვდილსაც...

დეე, მანდ იყოს ჩვენი სამარე! დეე, აივსოს ჩვენი ძვლებით ჩრდილო-ყინულები!.. აწ კი ნახვამდის, საუკეთესო თანამოძმენო!..

თქვენს ჭირსა და ლხინში მონაწილენი

ქუთ. ციხის ტუსაღები.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა.

რედაქციამ მიიღო ი. კიმუცაძისაგან შეგროვილი 9 მან. და 85 კაპ. ტობოლის გუბერნიაში სოფელ ნოვოზიამსკის 23 ქართველ პოლიტიკურ ტუსაღებისათვის. აი, დამხმარებელთა გვარები:

1 მ. 50 კ.—ბეგლარ გგელესიანმა, თითო მანეთი — ი. კიმუცაძემ და მინას სირაძემ,—ათ-ათი შაური—ბიკტორ დეკანოზიძემ, ივლიანე ფშველიძემ, სერაპიონ ანთაძემ, ასალო დოლიძემ, ამბერკი და ისიდორე კალანდაძეებმა,—40-კაპ.—ნიკო ჯანჯალაშვილმა, 30 კაპ. —წიწიკო მეძმარიშვილმა, ნესტორ ბოკერიამ და ჰარმენ ბარქაძემ, —25 კაპ. —პავლე, ისკო, ონისიმე, განო და პავლე (მეორე) წყოიძეებმა,—20 კაპ.—სერგო ცხადაძემ, ნიკო კვინიკაძემ, ალექსი ხარატიშვილმა და ნოშრევან სანადირაძემ.

სიტყვების ახსნა.

ა

აქტი—მოქმედება. ოფიციალური ქაღალდი, რომელიც ამოწმებს ვისიმეს უფლებებსა და მოვალეობებს.

აქტიური—ენერგიული, დამოუკიდებელი, მარჯვეთ მომქმედი; აქტიური ბრძოლა—როდესაც მოწინაალმდეგეს თავს ესხმიან.

ავტორი—დამწერი წერილისა, ან წიგნისა; დამხატველი სურათისა, აგრეთვე გამომგონი ანუ აღმომჩენი რაიმე გაუმჯობესების, ახალი მოვლენისა.

ანარხია—არევ-დარეულობა; ანარხისტების აზრით საზოგადოების ისეთი წესწყობილება, სადაც არ იქნება არავითარი მართველობა და კანონი.

ანარხიული - უთავბოლო, არეულ-დარეული, ის რაც ანარხიას ეკუთვნის.

აბსოლიუტიზმი—თვითმპყრობელობა.

აბსოლიუტური—შეუზღუდავი, სხვა რაიმეზე დამოუკიდებელი; აბსოლიუტური რიცხვი ან სიდიდე—სხვასთან შეუდარებლათ აღებული რიცხვი ან სიდიდე; აბსოლიუტური ჭეშმარიტება—უეჭველი ჭეშმარიტება.

ბ

ბროშურა—პატარა წიგნი.

ბერნშტეინი—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ცნობილი ოპორტიუნისტი რომელიც უარყოფს სოციალისტურ რევოლიუციას, ამტკიცებს რომ წინააღმდეგობა კაპიტალისტთა და მუშათა შორის კი არ ღრმავდება, არამედ თანდათან ისპობაო და ამტკიცებს, რომ სოციალიზმი მშვიდობიანობის, რეფორმების გზით დამყარდებაო; ამიტომ ყოველთვის მომხრეა და ქადაგობს ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკსა და თანამშრომლობას.

ბლოკი—პოლიტიკურ პარტიათა დროებითი კავშირი რაიმე მიზნის მისაღწევათ.

ბიოლოგია—მეცნიერება, რომელიც სწავლობს და არკვევს—ცხოველებისა და მცენარეულობის ცხოვრებისა და სიცოცხლის კანონებს.

ბარიკადა—ქუჩების გადასაღობად ქვებისა, მიწისა, ბოჭკებისა და ფიცრებისაგან აგებული სიმაგრე; ბარიკადები შენდება აჯანყების დროს, რათა ხელი შეუშალონ ჯარის მიმოსვლას და ბარიკადებში ჩასაფრულმა რაზმელებმა ადვილად იბრძოლონ მთავრობის ჯართან.

გ

გირშ-დუნკერის კავშირები—გერმანია'ში ამ სახელს უწოდებენ იმ პროფესიონალურ კავშირებს, რომელნიც ლიბერალების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

დ

დისციპლინა—კრებული წესებისა, რომელნიც სავალდებულო არის ამა თუ იმ ორგანიზაციის ყველა წევრებისათვის.

დეცენტრალიზაცია—სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ისეთი წესები, როცა ადგილობრივი თვითმართველობანი სარგებლობენ დიდის უფლებით; მთავრობის ხელში კი დარჩენილია საზოგადო საქმეთა წარმოება, მაგალითათ, უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება, ფულების მოჭრა, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა.

დარვინიზმი—დარვინის მოძღვრება, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ცხოველებისა და მცენარეულობის უმაღლესი ფორმები ვითარდებიან დაბალ ფორმებისგან არსებობისათვის ბრძოლაში ბუნებრივი შერჩევისა და თანდათანობით, განვითარების გზით.

დარვინი ჩარლზ—შესანიშნავი ინგლისელი (1809—82), რომელმაც თავისი გენიოსური აღმოჩენებით შესამჩნევათ წინ წასწია ბიოლოგია და თავისი გამოკვლევებით დაამტკიცა მცენარეულობისა და ცხოველების ევოლიუციონური გზით განვითარება.

დოგმა—რომელიმე მოძღვრებაში უცილობელი აზრი, რომელიც სადავოთ არ ითვლება.

ე

ექსპლოატაცია—რამდენათაც შესაძლებელია თვისდა სარგებლობისათვის მოხმარება რაიმე საქმის, აგრეთვე მუშების.

ექსპლოატატორი—მძარცველ-მყვლეფელი, მჩაგვრელი, რომელიც ცდილობს სხვებისაგან სარგებლობის მიღებას.

ეპოქა—განსაზღვრული დრო, რომელიც ხასიათდება რაიმე თვალსაჩინო საზოგადო მოვლენით, მაგალითად, რუსეთში უკანასკნელი ორი წელი შეადგენს რევოლიუციის ეპოქას.

ი

ირონია—გულსაკლავი დაცინვა.

ილიუზია—მოჩვენება ანუ ისეთი მდგომარეობა, როდესაც თავისავე წარმოდგენას სინამდვილეთ ღებულობენ.

ინვალიდი—სამსახურიდან სიბერით ან ავადმყოფობით გასული სალდათი; აგრეთვე მუშა, რომელსაც სიბერისა ან ავადმყოფობის გამო შრომა აღარ შეუძლია.

კ

კონკრეტიული—განსაზღვრული, კერძო, თვალსაჩინო, მარტივი.

კოლექტიური—საზოგადო, შეერთებული.

კრედიტი—ისეთი სავაჭრო ხელშეკრულობა, როდესაც ერთი პირი დროებით უთმობს მეორეს ფულს, საქონელს, ან სხვა რაიმე ღირებულობას იმ პირობით, რომ განსაზღვრულ ვადის შემდეგ უკანვე დაუბრუნონ. სიტყვა კრედიტს ხმარობენ აგრეთვე ნდობის მაგივრად.

კატასტროფა—მოულოდნელი უბედურება ან განადგურება.

კონვენტი—დეპუტატთა კრება საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს, რომელმაც 1902 წლიდან მეფე ლიუდოვიკ XVI-ის დატუსაღების შემდეგ ხელში ჩაიგდო მთელ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ხოლო მეფე-კი სიკვდილით დასაჯა.

ლ

ლექცია—სისტემატიური ახსნა, რომლითაც შეკრებილ საზოგადოებას აცნობენ ან ურკვევენ რაიმე მეცნიერულ, პოლიტიკურ ან სხვა კითხვას.

ლექტორი—ლექციის მკითხველი.

მ

მოტივი—თავი და თავი მამოძრავებელი მიზეზი შეგნებული არსების რაიმე მოქმედების დროს.

მანდატი—რაიმე კრებისათვის არჩეულ პირის ნდობისა და უფლების მინიჭება.

მეთოდი—სისტემა ანუ ერთგვარი წესი აზროვნებასა და მოქმედებაში.

ნ

ნაროდნიკი—რუსეთის მოღვაწეები და მწერლები, რომლებიც ამტკიცებდენ,—რუსეთის საზოგადოებრივი განვითარება სხვა გზით წავა, ვინემ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა; სხვათაშორის ამბობდენ, რუსეთში კაპიტალიზმი ვერ განვითარდება და მავნებელიც არის მისი განვითარება რუსეთის წინმსვლელობისათვის. ემყარებოდენ სათემო მიწათმფლობელობას და გლეხკაცების საშუალებით იმედოვნებდენ „სოციალისტური“ წესწყობილების დამყარებას.

ნორმა—განსაზღვრული ზომა რაიმესი.

ნორმალური—ჩვეულებრივი, განსაზღვრული, საერთოთ ცნობილი.

ო

ობიექტიური—მიუდგომელი, მაგ. ობიექტიური მსჯელობა ანუ მიუდგომელი მსჯელობა.

პროგრესი—წინმსვლელობა ადამიანის ან კაცობრიობის განვითარებაში.

პ

პოლიტიკა—მთავრობის საერთო მოქმედება, რომელსაც აზრათ აქვს შინაურ საქმეთა, თუ გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულების მოვლა-მოწესრიგება; ფართო მნიშვნელობით, პოლიტიკას ეძახიან პარტიებისა თუ კერძო პირის საზოგადო მოქმედებასაც.

პროპაგანდა—ბეჭდვითი ან ზეპირი სიტყვის საშუალებით რაიმე აზრებისა ან რომელიმე პარტიის პროგრამის გავრცელება,—იმ აზრით, რომ მიმდევრები შეიძინონ.

პროპაგანდისტი—ვინც პროპაგანდას ეწევა.

პასიური—სხვისი გავლენით, ძალ-დატანებით მოქმედება.

(შემდეგი იქნება).

განცხადებანი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის
ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილის. და საშარდ. ავადმ.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგან და ნერვების ავადმყ.

ჯ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობ.

მ. ზ. აშოტისიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

ქ. ი. გძელიშვილი: 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1 ნახ.—2 ს. საბებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობანი.

მ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინ ვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ნ. ზ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

ზ. ა. ნავასარდიანი: 7—7 ნახ. ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი—მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი უ. მ. ჩიქოვანი

იღებს ავათმყოფებს ყოველ-დღე 12—2 საათ.—ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

„პიტომნიკი ამერიკულ ვაზისა“

„კლდე-ქვიშური“

ქ. ქუთაისში.

ვგზავნი განცხადებებს და პრეის-კურანტს უფასოთ.

პატივისცემით მ. ი. ტიებო.

(2—1)

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ახალი დროება № 7

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებში.

—

ჩვენ მივიღეთ თბილისის მეჩექმეთა კავშირის საბჭოს დადგენილება:

ბიურო თბილისის მეჩექმეთა პროფესიონალურ კავშირისა უცხადებს ბოიკოტს მეჩექმე მამედოვს, რადგანაც მან მუშების სამართლიან მოთხოვნილების დასარღვევათ საზიზღარ ხრიკებს მიმართა. მოვუწოდებთ პატივცემულ საზოგადოებას და ამხანაგ მუშებს, მხარი დაუჭირონ მათ მოთხოვნებს: არავინ მიიღოს და აასრულოს მისი საქმეები, ვიდრე არ დაკმაყოფილებს გაფიცულებს.

—

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ცნობები:

თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭოს ამ დღეებში ქონია მეორე და მესამე კრება. ამ კრებებზე ბევრ სხვა საყურადღებო კითხვათა შორის დიდი კამათი გამოუწვევია „ზარის“ რედაქციის მოქმედებას, მეტადრე მისი ერთი თანამშრომლის, რომელმაც № 1-ში მოათავსა „ამახინჯებული“ და უგვანო ანგარიში ცენტრალურ საბჭოს დამფუძნებელ კრებისა. კრებაზე თითქმის ყველა დამსწრე იმ აზრისა ყოფილა, რომ ანგარიშის დამწერმა, ეტვი არაა, სისაძაგლე ჩაიდინა, განგებ მოსამსახურეთა კავშირს როცა „ლაქიების“ კავშირს ეძახის და გაზ. „ახ. დროებას“ აცხადებს საბჭოს ორგანოთ. ამაში რედაქციასაც უდევს ბრალი... ამიტომ კრება ადგენს: 1, გამოეცხადოს გაკიცხვა ანგარიშის შემდგენელ ავტორს და აგრეთვე რედაქციასაც იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ იმართლა თავი და თანამოზიარეა ავტორისა. 2, მოისპოს სიტყვიერ და წერილობით,—ბეჭდვით ხმარებაში, სიტყვა „ლაქია“ და დაკანონდეს სიტყვა მოსამსახურე, როგორც მიღებულია სხვაგან და „თბილისის მოსამსახურეთა კავშირის-მიერ“.

საბჭომ დიდათ საინტერესო მსჯელობა იქონია რკინის-გზის 700 დასათხოვ მუშების შესახებ და დაადგინა: 1. ზიზღი გამოეცხადოს ამ ლოკაუტის მომხთენ მთავრობას, 2. მატერიალური დახმარება აღმოეჩინოს ყველა მათ და 3. ამის შესახებ იქონიონ მსჯელობა და შესაფერი ზომები მიიღონ ყველა კავშირებმა.

საბჭომ აგრეთვე მსჯელობა იქონია 15 ნოემბერს უმაღლეს მთავრობის მიერ გამოცემულ კანონის შესახებ; ეს კანონი, როგორც ვიცით, ეხება სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს. გამოირკვა, რომ კანონი აუარესებს შრომის პირობებს: აგრძელებს სამუშაო დღეს და სრულებით არ სპობს ზედ-მეტ და არც კვირა-უქმეებში მუშაობას; მართალია, კანონში არის ერთი-ორი მუხლი, რომლითაც უნდა ისარგებლოს პროლეტარიატმა. ყოველ შემთხვევაში მიზანი მთავრობისა ცხადია—დააჭუცმაცოს რევოლიუციისთვის მებრძოლი ხალხი. ეს კარგათ უნდა შეიგნონ ნოქრებმა და სავაჭრო დაწესებულებებში სხვა მოსამსახურეებმა...

საბჭოს ბევრ სხვა კითხვების შესახებ ქონდა მსჯელობა. თვითოეულ კრებაზე საბჭოს ახალ-ახალი დელეგატები ემატება სხვა-და-სხვა პროფესიონალური კავშირებიდან. ის დიდ ინტერესს იწვევს თბილისის სხვა-და-სხვა პროფესიისა და წარმოებათა პროლეტარებ შორის: ყოველგნით, სადაც აქამდე არ ფიქრობდენ, დიდი სიჩქარით და ენერგიით ადგენენ ანალ-ახალ კავშირებს. ვუსურვოთ მხოლოდ, რომ ეს კავშირები მტკიცე და მაგარ ორგანიზაციებად იქმნენ მოწყობილნი.

—

ჩვენ მივიღეთ თბილისის მოსამსახურეთა კავშირის საბჭოსაგან შემდეგი ცნობები:

თბილისის მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს თაოსნობით და ხელმძღვანელობით ამ დღეებში მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის-გზების ბუფეტ-რესტორანების მოსამსახურეთა წარმომადგენლების პირველი (დამფუძნებელი) სიეზდი. კრებას დაესწრო ბათუმიდან ბაქომდე და თბილისიდან ყარსამდე ყველა მთავარ სადგურების წარმომადგენლები, რომელთაც სხვა ახლო-მახლო პატარა სადგურებიდან მონდობილება ქონდათ. სულ კრებას დაესწრო 12 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 9 სათათბიროთი.

პირველად კრებაზე აღიძრა კითხვა, კონფერენციათ გამოაცხადოს კრებამ თავისი თავი, თუ სიეზდათ. ვინაიდან ყველა დელეგატებმა განაცხადეს, რომ დავალებული აქვთ ამხანაგებისაგან—სავალდებულო დადგენილებანი მიიღონ, ამიტომ კრებამ აღიარა თავისი თავი ,,სიეზდათ''. ყველა 12 დელეგატი 200-მოსამსახურეს წამომადგენელნი იყვენ და პირდაპირ არჩეულნი ამხანაგების-მიერ. ამიტომ კრებამ ყველა მანდატები დაამტკიცა. მხოლოდ ერთი მანდატის დამტკიცების შესახებ აღიძრა კამათი. თურმე ამხანაგის ამორჩევას დასწრებია კრებაზე ხაზეინიც. კრებამ ამის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

არამც და არამც კავშირის წევრათ არსაიდან არ იქნეს მიღებული ხაზეინი, თუნდაც ის გუშინდელი ,,ამხანაგი'' იყოს. არამც-და-არამც ხაზეინების თან-დასწრებით არ ხდებოდეს კავშირის წევრთა კრებები. მხოლოდ ამ შემთხვევაში, რომელსაც კრება შეეხო,—არჩევნები მომხდარა განსაკუთრებითი პირობებში და ხაზეინს არავითარი გავლენა არ ქონია ამრჩეველთა ნება-სურვილზე. ამიტომ მიეცეს წარმომადგენელს ამ კრებაზე გადამწყვეტი ხმა და მკაცრათ დაეავალოს მას, რომ დაბრუნებისას სიეზდის მოხსენება გააკეთოს მხოლოდ არა ხაზეინის თანადასწრებით, არამედ მხოლოდ ამხანაგ მოსამსახურეებისა, ესე იგი, იმათი, ვინც შეიძლება იყოს კავშირის წევრი''.

ამის შემდეგ კრებამ მიიღო დღიური წეს-რიგი, მოისმინა მოხსენებები, ყველა კითხვები გაარკვია, შესაფერი რეზოლიუციებიც მიიღო, ახალი ორგანიზაციის პლანი გამოიმუშავა,—დაჰყო მთელი ამიერ-კავკასია ექვს რაიონად,—შეუკავშირა ეს ახალი რაიონები თბილისის მოსამსახურეთა კავშირს, რომლის საბჭოში წარმომადგენლებად ამოირჩია თითო რაიონიდან თითო წარმომადგენელი. მარა, ამ საყურადღებო სიეზდზე რედაქციას წარმოვუდგენთ უფრო დაწვრილებით ანგარიშს.

—

„თბილისის მეპურეების მამასახლისმა ქალაქის გამგეობას სთხოვა—ხელმეორედ გადაათვალიერეოს შუამდგომლობა პურის ნიხრის მომატების შესახებ. სიძვირე ჩამოვარდა და არსებულ ფასში პურის გაყიდვით ვზარალობთო“. (მეგობარი № 68).

ამის შესახებ თბილისის თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირის ბიუროს ქონდა კრება, რომელზედაც დაადგინა: ვიღებთ-რა მხედველობაში, 1, რომ მეპურეები არსებულ ფასში პურის გაყიდვით, არა თუ ზარალობენ, არამედ კიდევაც იგებენ, 2, რომ მეპურეების მამასახლისი თვალს უხვევს ქალაქის გამგეობას, როდესაც ამბობს: „სიძვირე ჩამოვარდა და არსებულ ფასში პურის გაყიდვით ვზარალობთო“, 3, რომ მართლა მოუმატონ პურის ნიხრს, ამით, რა თქმა უნდა, იზარალებს საზოგადოების უმრავლესობა, მუშა ხალხი, რომელიც დღეს ისედაც ყოველმხრიდან შეევიწროვებული და დაბეჩავებულია,—ამისათვის თბილისის თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირის ბიურო ჰკიცხავს მეპურეების მამასახლისის ასეთ მოქმედებას და მიმართავს ქალაქის გამგეობას: ნუ მიაქცევს ყურადღებას მეპურეების მამასახლისის თხოვნას.

ნოქართა პროფესიონალური კავშირის დელეგატების კრება. ამ დღეებში მოხდა დელეგატების კრება (ჯერჯერობით 23 დელეგატია). კრებამ შემდეგი კითხვები აღნიშნა განსახილველათ: 1. მოხსენება ცენტრალურ საბჭოს უკანასკნელ კრებაზე, 2. მოხსენება ჭიათურელ ნოქრების წინადადებაზე, 3. რკინის-გზის მუშათა დათხოვნა, 4. თხუთმეტი ნოემბრის კანონი, 5. მეორე დეპუტატის არჩევანი ცენტრალურ საბჭოში და 6. წვრილი კითხვები. კრებამ დაამტკიცა ცენტრ. საბჭოს მოხსენება და გადავიდა შემდეგ კითხვაზე—შესახებ ჭიათურელ ნოქრების წინადადებისა. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ ის სიხარულით ეგებება ჭიათურელ ამხანაგების წინადადებას, მზათ არის მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მათთან და წინადადებას აძლევს—სპეციალური დელეგატი გამოგზავნონ კავშირთან ზოგიერთ კითხვებზე მოსალაპარაკებლათ. რკინის-გზის მუშების დათხოვნის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ რკინის გზის ადმინისტრაციის განცხადება, რომლითაც ის 1000-მდე მუშას ითხოვს 23 დეკემბრისთვის,—თავით ბოლომდე უსამართლოა და ფარისევლური, მთავრობას ყველა ამითი ნაჯდრევი გალაშქრების გამოწვევა უნდა, რის გამოც კრება ზიზღს უცხადებს მას; კრება მოუწოდებს ყველა ნოქრებს, განურჩევლათ ეროვნებისა და პოლიტიკური რწმენისა, მჭიდროთ შეერთდენ, რომ დანარჩენ პროლეტარებთან ერთათ მჭიდრო რაზმი შეადგინონ, რომელიც ანგარიშს გაუწევს პროლეტართა მტრების ყოველგვარ თავდასხმას; ამასთანავე კრებამ დაავალა ბიუროს, დაუყოვნებლივ შეუდგეს ფულის მოგროვებას რკინის გზის დათხოვილ ამხანაგების სასარგებლოთ. 15 ნოემბრის კანონის შესახებ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს კანონი, ყველაზე პირველათ, უტყუარი ნიშანია მთავრობის უძლურებისა და მუშათა მოძრაობის სიძლიერის, რომელსაც ახალი დაპირებით უყვავებს ძველი მთავრობა; ხოლო თავისი შინაარსით ეს კანონი ცარიელი თვალთმაქცობაა, ფარისევლობაა, და მეტი არაფერი, რადგანაც სიტყვით ბევრ რამეს გვპირდება და ნამდვილათ კი 17 საათამდე აგრძელებს სამუშაო დღეს, კვირა-უქმის დასვენებას სპობს და სხვა,—ჩანს, მთავრობას მოუნდომებია იაფათ შეიყიდოს ჩვენი ხმები მომავალ არჩევნების დროს... შემდეგ კრება მოუწოდებს ამხანაგებს, „ხელი ჩაჰკიდონ ძმურათ“, მტკიცეთ დაიცვან თავიანთი უკვე მოპოვებული უფლებები და, ყოველ შემთხვევაში, შეძლებისა და-გვარათ გამოიყენონ 15 ნოემბრის კანონი. დაბოლოს კრებამ აირჩია მეორე დეპუტატი და ამით გაათავა თავისი მუშაობა.

—

თბილისის მოსამსახურეთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ, რადგან მარჭარ კირაკოზოვმა დაკმაყოფილა მისი მოსამსახურის მოთხოვნა და ბოდიში მოიხადა კავშირის საბჭოს წინაშე, ის ბოიკოტს ხსნის კირაკოზოვს. ბოიკოტი ახსნილია დღიდან გამოცხადებისა.

ᲮᲛᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲢᲣᲡᲐᲚᲝᲓᲐᲜ.

—

აუტანელია, ამხანაგებო, სატუსალო! აუტანელია მისი ბნელი, ვიწრო, ჭუჭყიანი და მყრალი საკანი! საშინელებაა ჩახლართულ რკინებიდან ნ საჟენს იქით, ქუჩაზე, მიუწდომელ თავისუფლების ცქერა! უსაშინელესია მუდმივი დაცინვა, ლანძღვა-გინება, მხეცური ცემა! მაგრამ, კიდევ უსაშინელესია, ამხანაგებო, როცა არ შეგიძლია პასუხის გაცემა.. და ასე, მუდამ ამა ქვეყნის ნაძირალთა ფეხ-ქვეშ უდიერათ ითელება ადამიანის პიროვნება!..

ყველა ეს საშინელება და ურიცხვი მაგგვარები გვავიწყდება, როცა შორეულ უდაბნოებში გადარეკილ ამხანაგების უკიდურესი გაჭირვების ამბავი ეწვეთება ჩვენს ყურს... თვალ-წინ გვიდგას საუკეთესო მებრძოლი, ქვეყნის ბედნიერებისთვის ზვარაკათ შეწირული! მაგრამ, ჰოი საშინელებავ!.. ის ძონძებშია გახვეული... ნახევრათ და სულაც შიშველი... სხეული საცაა სრულებით გაეყინოს...პური რამდენიმე დღეა არ უჭამია... შველა არსაიდან!.. და ასე ლევს გმირი უკანასკნელ წუთებს!..

თვალ-წინ გვიდგას აგრეთვე ყველა ის, ვინც თავის კერას მოჯდომია და ბედნიერების ფიალას ეწაფება, რამდენათაც ეს დღეს შესაძლებელია! დრო გამოშვებით გვესმის მათი ოხვრა და სიბრალული, როცა აგონდებათ ზვარაკათ შეწირულნი... ვხედავთ მათ წითელი ღვინით ხელში და გრძნობიერი სიტყვით ,,გმირთადმი''!.. ამით თავდება მათი ღვაწლი, და... ,,ამან უფრო მოგვიკლა გული''!.. ეს არ არის თანაგრძნობა, არაა დახმარება, არაა მოქალაქობრიობა... ჯერ კიდევ, შედარებით, თავისუფალო ამხანაგებო და მოაზრე საზოგადოებავ! ეცადეთ, სიტყვა საქმეთ აქციოთ; ნუ გაგრილდება გული, ნუ დაჩლუნგდება გრძნობა, ნუ დასუსტდება ენერგია... განა შეიძლება მის შერიგება, რომ საუკეთესო მამულის-შვილი შიმშილ-სიცივით კვდებოდეს?! არა და ათასჯერ არა,—უპასუხებს ნამდვილი მოქალაქე...

თქვენ-კი, ტობოლის გუბერნიაში გადაკარგულნო, უმწეო მებრძოლნო! გიძღვნით გულის სიღრმიდან ამხანაგურ სალამს და მასთან—12 მ. 54 კ. ფულს, დარწმუნებული,

ხელოსანს უმუშავნია, 14—15 დღე ერთი კამოდის გაკეთებაში და არა 6 დღე, რასაკვირველია, როცა სამუშაო დღეს „ნორმალურს“ ვანგარიშობთ—8 საათს.

აი, ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი ამხანაგი ხელოსნები თავიანთ თავს ძალას ატანენ, მეტს მუშაობენ, მეტ ღირებულებას ქმნიან, და ნაკლებათ-კი ყიდიან, თითონ მშივრები დავდივართ და ჩვენ ხაზეინ-ჩარჩებს-კი ჯიბე-უბეებს უვსებთ, იმათ სიმდიდრეს დღითი-დღე ჩვენი შრომით კიდევ უმატებთ და ჩვენ-კი მუდამ სილარიბ-სილატაკეში ვიმყოფებით. ეს მოგვდის იმიტომ, რომ ჩვენ კიდევ გვაკლია შეგნება ჩვენი ყოფა-მდგომარეობისა. მაშ, დროა, გამოვფხიზლდეთ, გავახილოთ თვალები, მივიხედ-მოვიხედოთ, ჩავიხედოთ ცხოვრების სარკეში!.. სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, ჩვენ „სტალარები“ წინათ დავიწყებთ ხოლმე საერაო საქმეზე და შეერთება-შეკავშირებაზე ლაპარაკს და ყველაზე უკან-კი ჩამოვრჩებით. ამ ორი წლის წინათ ჩვენ აღვძარით ლაპარაკი შეკავშირებაზე, შეერთებაზე და ჩვენი სახელოსნო-სამართველოდანაც დემონსტრატიულათ გამოვედით და უარ-ვყავით ძველი „უპრავის“ არსებობა; ვმართავდით კრებებს, რომელზედაც ვთხოულობდით 8 საათის სამუშაო დღეს, ნაჭრით მუშაობის მოსპობას, პოდრიადჩიკობა-ჩარჩობის მოსპობას,—ვთხოულობდით პროფესიონალურ ბიუროს დაარსებას, კასას და ბევრ სხვა რამეს. ამ ჩვენს მაგალითს მიხედეს დურგლებმა, კალატოზებმა, მხატვრებმა და მრავალმა სხვა პროფესიის ხელოსნებმა, შეადგინეს უკვე მრავალი პროფესიონალური კავშირები და შეუდგენ თავიანთ ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას... ჩვენ-კი ისევ საღათას ძილს მივცემივართ... თუ შარშან, შარშან-წინ ხნიერ ამხანაგებმა ვერაფერი მოაგვარეს, რადგან ამხალგაზდებმაც ვერ შეუწყეს ხელი, როგორც რიგია, ახლა მაინც, ახალგაზდებო და ძველებო, მოაგვარეთ რამე და შეადგინეთ კავშირი, ნუ ვეჰმეევინებით მუქთა-ყლაპია, ჩვენს მყვლეფავ ხაზეინ-ჩარჩებს; მხოლოდ კავშირით შეგვიძლიან ავლაგმოთ ჩვენი მძარცველი ჩარჩები და ზოგიერთი, ჩარჩებზე უარესი, მუშტარიც, რომლებიც მთელ დღეს გვდევენ უკან, ვითომდა საქმე-სამუშაო უნდათ მოგვცენ, მაგრამ, საქმის ნაცვლათ, გვიანგარიშებენ, თუ რამდენი დაუჯდებათ გასაკეთებელი ავეჯი და ამაზე გვაცდენენ, - ზოგჯერ 2—3 დღესაც და მერე ბოდიშითა და ლათაიებით გვისტუმრებენ. თუ დრო ფულად ღირდა, ამას-კი აღარ გვკითხავენ, მორჩა და გათავდა!.. ასე და ამგვარათ, მრავალ ჩვენს ამხანაგ-ხელოსნებს აცდენენ და ატყუილებენ მუქთა-ხორა დიდ-მუცლიანი ბატონები... აი, ამიტომაც არის საჭირო შეერთება-შეკავშირება, რომ აღარავინ მოგვატყუოს და ჩვენი შრომის ბატონი და პატრონიც ჩვენვე გავხდეთ, რომ ამით ქონებრივ-გონებრივათაც გავიუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება. ჩვენ გავიგეთ, რომ ერთ ჯგუფს ჩვენი ამხანაგებისას უკვე ხელი მოუკიდნია სტოლართა პროფესიონალური კავშირის შედგენისათვის. და მეც სულით და გულით უსურვებ ამხანაგებს რომ მათ-მიერ დაწყებული საქმე ჩქარა განხორციელებულიყოს და გამარჯვებულათ დაგვირგვინებულიყოს.

ხნიერი სტალარი.

—

ამხანაგ „ძველი მუშა №40-ის“ პასუხათ.

(გაზეთ „ახალ დროების“ № 5-ის წერილის პასუხი).

ამხანაგო „ძველო მუშავ“! თუ მაგდენათ გული გტკივათ ჩვენ, „ახეთიის“ მუშებსა და გამგეობისათვის, რაღა შორიდან გველაპარაკები, თუ მადლს სთესავთ, ბარემ მარილიც მოაყარეთ და ახლოს მობრძანდით... პირის-პირ დავდგეთ და ისე დაგვარიგეთ. შეიძლება, ამხანაგო „ძველო მუშავ“, იფიქროთ, რომ გაზეთის საშუალებით გვასწავლით სწორე გზაზე

როგორც ეს შ. გ—ს მოლანდებია (იხ. „ნობ.“ № 1. მონიზმის კრიტიკა“). შინაარსი უფორმოთ შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესა თუ ის ფორმა, რადგანაც ის უკანარჩება თავის შინაარსს, არას დროს არ შეესაბამება სავსებით ამ შინაარსს და, ამგვარათ, ახალი შინაარსი „იძულებულია“ დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის. დღეს, მაგალითათ, წარმოების ამხანაგურ შინაარსს არ შეესაბამება ნაწარმოებთა მითვისების ფორმა, რომელსაც კერძო ხასიათი აქვს და სწორედ ამ ნიადაგზე წარმოებს დღევანდელი სოციალური „კონფლიქტი“.

მეორე მხრივ, ის აზრი, რომ შეგნება მდგომარეობის ფორმაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ შეგნება თავისი ბუნებით—ეს იგივე მატერიაა. ასე ფიქრობდენ მხოლოდ ვულგარული მატერიალისტები (მაგ. ბუხნერი და მოშოტი), რომლებიც ძირიანათ ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს და რომლებსაც სამართლიანათ დასცინოდა ენგელსი თავის „ფეიერბახში“. მარქსის მატერიალიზმით შეგნება და მდგომარეობა, იდეია და მატერია—ეს ორი სხვა-და-სხვა ნაირი ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, რომელსაც, საერთოთ რო ვთქვათ, ბუნება ეწოდება—მაშასადამე ისინი არც უარჰყოფენ ერთმანეთს *) და არც ერთსა და იგივე მოვლენას წარმოადგენენ,—საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ბუნებისა და ცხოვრების განვითარებაში შეგნებას, ე. ი. მას, რაც ჩვენს თავში ხდება, წინ უსწრებს შესაფერისი მატერიალური ცვლილება, ე. ი. ის, რაც ჩვენს გარეშე ხდება,—ამა თუ იმ მატერიალურ ცვლილებას ადრე თუ გვიან აუცილებლათ მისდევს შესაფერისი იდეალური ცვლილება.

ასეთია საერთოთ მატერიალისტური ტეორია.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ზოგიერთები, ეგ ყველაფერი მართალია, რაც შეეხება ბუნებისა და ცხოვრების ისტორიას. მაგრამ დღეს რანაირათ იბადება ჩვენს თავში სხვა-და-სხვა წარმოდგენები და იდეები?

ან-და ნამდვილათ კი არსებობს ეგრეთ წოდებული გარეშე პირობები, თუ მარტო ჩვენი წარმოდგენები არსებობს ამ რაღაც გარეშე პირობებზე?

და თუ გარეშე პირობებიც არსებობს, რამდენათ შესაძლებელია მათი შეგნება-გამოცნობა?

ამის შესახებ მატერიალისტური ტეორია ამბობს, რომ რამდენათაც არსებობს ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი „მე“, იმდენათვე არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ „მე„-ზე შთაბეჭდილებას ახდენენ. ვინც ისე დაუფიქრებლათ ამბობს, რომ ჩვენი წარმოდგენების მეტი არა არსებობს-რაო, ის იძულებულია უარჰყოს ყოველივე გარეშე პირობები და, მაშასადამე, დანარჩენი ადამიანებიც, გარდა თავისი „მე“-სი, რაც ძირიანათ ეწინააღმდეგება მეცნიერების და ცხოვრებისა ძირითად საფუძვლებს.

დიახ, გარეშე პირობები ნამდვილათ არსებობს, ეს პირო-

*) ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფორმასა და შინაარსს შორის კონფლიქტი არსებობს. საქმე იმაშია, რომ კონფლიქტი შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს საერთოთ, არამედ ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მას ელტვის.

სვლას და მშრალზე გავლას, არა, ამხანაგო, შორიდან ლაპარაკით არაფერი გამოვა; სანამდის ბავშვს მასწავლებელს არ დაუჭერენ, მანამ ბავშვი უსწავლელი იქნება. შეიძლება, ძველო მუშივ, იფიქროთ, რომ ახლო მივიდე და დავარიგო, ეწყინებათო, ანდა არ ესიამოვნებათო. არა და არა, ძველო მუშავ! ჩვენ არ გვეწყინება, არამედ გაგვიხარდება, ისე, როგორც წყლიდან ამოყვანილ თევზს,—ხელმეორეთ წყალში გაუშვათ და გაუხარდეს. ამხანაგო, ძველო მუშავ! რასაკვირველია, თქვენ წერილში ზოგი თუ მართალია, ტყუილიც ბევრია... მაგალითად, ტყუილია ის, ვითომდა ერთი კაცი აკეთებდეს ორი კაცის საქმეს,—ეს რომ სრული სიცრუეა! ამასთან, რასაკვირველია, ბევრიც სხვა ტყუილებია. ახლა ამას თავი დავანებოთ და სხვაზე ვილაპარაკოთ. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, შორეული არ უნდა ბრძანდებოდეთ, მგონია, ახლო მეზობელი უნდა იყოთ... და არც გაგიძნელდებათ ჩვენთან მოსვლა და დარიგება მოგვცეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ მოპოვებული თავისუფლება.

ახალი მუშა.

—

თბილისის სასმელების მოვაჭრეთა მიმართ.

ამა წლის 4 დეკემბრიდან „ლიმონათ-ზელტერსკის ზავოდის“ პატრონებმა ბოთლზე ერთი კაპეიკი ფასი მოუმატეს და ისედაც ტყავ-გამძვრალ ხალხს კიდევ ახალ გადასახადს მატებენ... მართალია, მცირეა თითო ბოთლზე—1 კაპეიკი სათქმელათ,—მარა ნამდვილ კი დიდ ფულს შეადგენს. წარსულ ზაფხულს, ამგვარივე ფასის მომატებით მთელამ თბილისის ვაჭრებმა ბოიკოტი გამოაცხადეს „ლიმონათ-ზელტერსკის გაყიდვაზე, რითაც ვითომც საზოგადოებას ამცნეს: მხარს გიჭერთ, ჩვენც ვიბრძვით თქვენი გადასახადების შესამცირებლათაო. ცდამ ნაყოფი გამოიღო; ზავოდების პატრონებმა აწეული ფასები ისევ დასწიეს. მაგრამ, დრონი იცვალენ! დროებით ახალ ქერქში მყოფმა ვაჭბატონებმა თვისი მძარცველი სახეები გამოიჩინეს და ძველებურათ მოჰყვენ ხალხის ჯიბეებში ხელების ფათურს. ნათქვამია: „წყალი ნაგუბარში უნდა ჩადგესო.“ ესევე დაემართათ ვაჭრებსაც. მონახეს ძველებური ბუნაგი და ჩვეულება... წავიდა ხალხის ძლიერებით გამოწვეული მხურვალე სიტყვები, რომლითაც ისინი ხალხს ერთგულებისა და საერთო ინტერესების დაცვას ეფიცებოდენ. რეაქციამ დაავიწყა ყველა ეს მათ და ისევ ძველებურ ხელობას დაუბრუნა ისინი... ასე, რომ, თუ მექარხნეებმა მოუმატეს ფასი, თვითონაც უმატებენ, და ამით მაინც მოგებულნი დარჩებიან. მაშ, თვითონ რას კარგავენ, სდუმან მოვაჭრეები, ძილისათვის მიუციათ თავი ძველებურათ... მაგრამ დროა გაღვიძებისა! წავიდა ის ნეტარ-ხსენებული დრო, როდესაც, ვისაც, როგორცა სურდა თავის გამდიდრება,—ისე უმატებდა საქონლის ფასს. დღესაც გამდიდრების წყურვილ-მორეულთ მოუმატეს „მელიმონათეებმა“ ფასი. სირცხვილია, ვაჭრებო, სირცხვილი—თუ ამაზე ხმას არ ამოვიღებთ! სირცხვილია მით უმეტეს, რომ ორიოდე მელიმონათეები თავის ნებაზე უმატებენ ფასს და ჩვენ-კი ხმაგაკმენდილი ვართ იმ დროს, როდესაც ჩვენა ვართ ურიცხვი და ჩვენს ხელშია მთელი ძალაც.

იმედია ვაჭართა ბიუროს წევრები წარმოიდგენენ თვის მოვალეობას, და გამონახავენ საშუალებას თავგასულ „ლიმონათ-ზელტერსკის ზავოდების“ პატრონთა ასალაგმავათ, რომელთანაც ბრძოლაც ძნელი არაა კურთხეული ბოიკოტის შემწეობით.

ერთი მოვაჭრეთაგანი.

—

ბები არსებობდენ ჩვენამდე, იარსებებენ ჩვენს შემდეგაც და მათი შეგნება-გამოცნობა შესაძლებელია მით უფრო ადვილათ, რაც უფრო ხშირათ და ძლიერათ იმოქმედებენ ჩვენს შეგნებაზე.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ იბადება დღეს ჩვენს თავში სხვა-და-სხვა წარმოდგენები და იდეები, ამის შესახებ უნდა შევამჩნიოთ, რომ აქ მოკლეთ იგივე მეორდება, რაც ბუნებისა და ცხოვრების ისტორიაში,—აქაც გარეშე მყოფი საგანი წინ უსწრებს ჩვენს წარმოდგენას ამ საგანზე, აქაც ჩვენი წარმოდგენა, ფორმა, უკან რჩება საგანს, როგორც თავის შინაარსს: თუ მე ვუყურებ ხეს და ვხედავ მას, ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ, სანამ ჩემს თავში წარმოდგენა დაიბადებოდა ხის შესახებ, ამაზე წინ არსებობდა თითონ ხე, რომელმაც შესაფერისი წარმოდგენა გამოიწვია ჩემში...

ძნელი გასაგები არაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მატერიალისტურ ტეორიას ადამიანების პრაქტიკული მოღვაწეობისთვის.

თუ ჯერ ეკონომიური პირობები იცვლება და მერე შესაფერისათ იცვლება ადამიანების შეგნება,—ცხადია ამა თუ იმ იდეალის დასაბუთებას უნდა ვეძებდეთ ადამიანების ტვინში-კი არა, მათ ფანტაზიაში კი არა, არამედ მათი ეკონომიური პირობების განვითარებაში; კარგია, მოსაწონია და მისაღები მხოლოდ ის იდეალი, რომელიც აშენებულია ეკონომიურ პირობების შესწავლაზე; არ ვარგა და მოსაწონი არაა ყველა ის იდეალი, რომელიც ანგარიშს არ უწევს ეკონომიურ პირობებს, რომელიც არ ემყარება მათ განვითარებას.

ასეთია პირველი პრაქტიკული დასკვნა მატერიალისტური ტეორიისა.

თუ ადამიანების შეგნება და ზნე-ჩვეულება გარეშე პირობებისაგანაა გამოწვეული, თუ იურიდიული და პოლიტიკური ფორმების უვარგისობა ეკონომიურ შინაარსზეა დამყარებული,—ცხადია, ხელი უნდა შეუწყოთ ეკონომიურ ურთიერთობის ძირიანათ გარდაქმნას, რომ მასთან ერთათ ძირიანათ შეიცვალოს ხალხის ზნე-ჩვეულებანი და მათი პოლიტიკური წესები.

აი რას ამბობს ამაზე კ. მარქსი:

„დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას, თუ რა... კავშირი არსებობს... მატერიალიზმსა და... სოციალიზმს შორის. თუ ადამიანი გარეშე პირობებიდან იღებს თავის ცოდნასა და სულისკვეთებას... ცხადია, ისე უნდა მოაწყო ეს გარეშე პირობები, რომ კაცმა რიგიანი შთაბეჭდილებანი გამოიტანოს იქიდან და შეეჩვიოს ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობას... თუ ადამიანის თავისუფლება იმაში შესდგება, რომ მას შეეძლოს აშკარათ გამოხატოს თავისი პირადი თვისებანი, ცხადია, ცალკე კი არ უნდა სჯიდეთ თვითოეულ პირს მათი დანაშაულობისთვის, არამედ უნდა სპობდეთ იმ ანტისაზოგადოებრივ პირობებს, საიდანაც ეს დანაშაულობანი იბადება... თუ ადამიანის ხასიათს მისი მდგომარეობა ჰქმნის, ცხადია, ეს მდგომარეობა უნდა შესცვალოთ, რომ მისი ხასიათიც შეიცვალოს“ (იხ„ ლუდვიგ ფეიერბ.“).

ასეთია მეორე პრაქტიკული დასკვნა მატრიალისტური ტეორიისა.

როგორ უყურებენ ანარხისტები მარქსის მატერიალისტურ ტეორიას?

კო...

წესდება თბილისის სარძევე დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისა.

I. კავშირის მიზანი

§ 1. კავშირის მიზანია: ა) შეაერთოს ყველა მოსამსახურეები ქალაქ თბილისის სარძევე დაწესებულებებში თავის პროფესიონალურ და მოქალაქობრივ (უფლებრივ) ინტერესებისათვის საბრძოლველათ;

ბ) აამაღლოს გონებრივი და კულტურული მდგომარეობა და ასწიოს კლასობრივი თვით შეგნება თავის წევრებისა;

გ) გაუმჯობესოს ქონებრივი მდგომარეობა და დახმარება გაუწიოს თავის წევრებს და მათ ოჯახებს გაჭირვების დროს.

II. კავშირის მოქმედება.

§ 2. თავის წევრების პროფესიონალურ ინტერესების და ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ,—კავშირი იბრძოლებს, რომ:

ა) სამუშაო დღე დღე-და-ღამეში 8 საათით განისაზღვროს;

ბ) დაწესდეს ყოველკვირეული დასვენება განუწყვეტლივ არა ნაკლებ 42 საათისა;

გ) აიკრძალოს ღამე მუშაობა დღესასწაულების წინდღეებში;

დ) აეკრძალოს ხაზეინებს ისარგებლონ ბავშვების შრომით 16 წლამდე;

ე) დაწესდეს: ყოველ-კვირეული ვადა ჯამაგირების მისაღებათ მუშების ყოველგვარ დაქირავების დროს, და ქირის მიღება უნდა იყოს სამუშაო დროს;

ვ) აეკრძალოს ხაზეინებს ჯამაგირიდან ფულის გამორიცხვა, რა მიზეზით ან რა დანიშნულებისთვისაც უნდა იყოს იგი;

ზ) გაფიცვების დროს სრული ხელფასის მიღება;

ᲗᲘ) აეკრძალოს ხაზეინებს შეგირდების უფასო შრომით სარგებლობა, აეკრძალოს მათ დაავალონ შეგირდებს ისეთი საქმეები, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ მათ პროფესიასთან;

თ) დაწესდეს უმცირესი ჯამაგირის რაოდენობა, რომ ნაკლები არ უნდა აიღოს კავშირის არც-ერთმა წევრმა;

ი) შემოღებულ იქმნას ყოველწლიური სამსახურიდან განთავისუფლება ყველა მოსამსახურეთათვის; ვინც მსახურებს არა ნაკლებ 6 თვისა—ორი კვირით, ვინც არა ნაკლებ 1 წლისა—ერთი თვით, სრული ჯამაგირის შენახვით;

ია) დაწესდეს სამედიატორო სასამართლოები და მომრიგებელი კამერები, შედგენილი პროფესიონალური კავშირისა და მრეწველების წარმომადგენელთაგან თანასწორად;

იბ) დაწესდეს ყველა სამრეწველოებში საამხანაგო სასამართლო, რომლის თანხმობით უნდა ხდებოდეს მოსამსახურის მიღება ან დათხოვნა.

§ 3. იმ მიზნისთვის, რომ გონებრივი და კულტურული მდგომარეობა თავის წევრებისა აიწიოს, განვითარდეს მათი კლასობრივი თვით-შეგნება და აგრეთვე ხელი შეუწყოს თავის წევრების, როგორც ერთმანეთ შორის დაახლოებას, ისე სხვა პროფესიებთან შეერთებას, კავშირი ეცდება:

ა) მოაწყოს: ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, ლექციები, რეფერატები, საღამოები, წარმოდგენები და სხვა.

ბ) გამოსცეს: თავის საკუთარი გაზეთი ცალკე, ან სხვა პროფესიონალურ კავშირებთან ერთათ, ან სცნოს თავის ორგანოთ რომელიმე არსებული გაზეთი;

გ) დაუახლოვდეს სხვა პროფესიონალურ კავშირებს, ყველა პროფეს. კავშირებისაგან არჩეულ ცენტრალურ ბიუროს დაწესების საშუალებით, რომ ამხანაგური დახმარებით ხელი შეუწყონ კავშირების-მიერ წამოყენებულ საკითხების განხორციელებას (კლუბებისა და შრომის ბიუროების დაარსებას, გაზეთების გამოცემას და სხვა), აგრეთვე იქონიოს დამოკიდებულება სხვა ქალაქების პროფესიონალ. კავშირებთან და მონაწილეობა მიიღოს პროფესიონალურ კავშირთა სიეზდებზე;

დ) იუქმოს 1 მაისი, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დღესასწაული.

§ 4. იმ მიზნისთვის, რომ დახმარება გაუწიოს თავის წევრებს და მათი ოჯახების შეეიწროებულ მდგომარეობას, კავშირი დაიარსებს:

ა) კასას გაფიცულების, ახლათ ჩამოსულ, ავათმყოფ, უსაქმოთ დარჩენილ და მუშათა საქმისთვის დაზარალებულ-დასჯილ ამხანაგებისა და მათი ოჯახების დასახმარებლათ;

ბ) შრომის ბირჟას უსაქმოთ დარჩენილთათვის ადგილის მოსაძებნათ;

გ) იურიდიულ ბიუროს.

§ 5. გარდა ყველა ამისა, პროფესიონალური კავშირი სარძევე დაწესებულებებში მოსამსახურეთა სხვა პროფესიონალურ კავშირებთან და მთელ მუშათა კლასთან ერთათ იბრძოლებს, რომ:

ა) დაწესდეს მრეწველების სისხლის სასამართლოს წინაშე პასუხის-მგებლობა შრომის დაცვის კანონების დარღვევისთვის;

ბ) დაკანონდეს მუშების-მიერ მოპოვებული გაუმჯობესებანი;

გ) შემოღებულ იქმნას მუშების სახელმწიფო დაზღვევა სიბერისა და სრულიად ან დროებით დაუძლურებისაგან სპეციალური ფონდის ხარჯით, რომელიც უნდა შესდგეს მრეწველებზე ცალკე გადასახადის გაწერით.

III. კავშირის შედგენილობა.

§ 6. კავშირის წევრათ ირიცხება ის, ვინც თბილისის სარძევე სამრეწველოებში მსახურებს, მიუხედავათ ხნევანობისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური რწმენისა, და ამასთანავე—ვინც იხდის კავშირის კასაში გადაჭრილ საწევრო გადასახადს და ვინც ეთანხმება კავშირის მიზნებსა და მის მოქმედებას.

შენიშვნა 1. ის პირები, რომლებიც 16 წელიწადზე ნაკლების არიან, ჩაირიცხებიან კავშირის წევრებათ, მხოლოდ არ ექნებათ გადამჭრელი ხმა და ვერ იქნებიან არჩეული კავშირის ორგანოებში.

შენიშვნა 2. სამრეწველოს პატრონებს და იმ პირთ, ვინც სამრეწველოს ადმინისტრაციას ეკუთვნიან, არ შეუძლიათ ჩაირიცხონ კავშირის წევრებათ.

IV. კავშირის კასა.

§ 7. კავშირის საშუალებებს შეადგენენ:

ა) შესავალი საწევრო გადასახადი, რომელიც შეადგენს 50 კ. და 1 მან. (ვინც თვეში იღებს 5 მან.—15 მანეთამდე კავშირში ჩაწერის დროს იხდის 50 კაპ., ვინც იღებს 15 მანეთზე მეტს—იხდის 1 მან.);

ბ) ყოველთვიური საწევრო გადასახადი—ჯამაგირის 2% (ორი პროცენტი);

გ) ნებაყოფლობითი შემოწირულებები;

§ 8. კავშირის კაპიტალები ორ ფონდათ იყოფა:

ა) გაფიცვის ფონდი შესდგება კავშირის ყველა შემოსავლის 50%-ისაგან და იხარჯება მხოლოდ გაფიცულების დასახმარებლათ;

ბ) სატრიალებელი ფონდი, რომელიც შესდგება კავშირის შემოსავლის დანარჩენ 50%-ისაგან და იხარჯება კავშირის ყოველდღიურ საჭიროებისთვის: კავშირის საქმის საწარმოებლათ, ავათმყოფების, უმუშევრათ დარჩენილთა, სხვაგან მიმავალთა და სხვათა დასახმარებლათ.

V. კავშირის გამგეობა.

§ 9. კავშირის ხელმძღვანელი ორგანო არის საერთო კრება, მაგრამ, პოლიტიკური პირობების გამო, რომელიც ხელს გვიშლის დიდი კრებების მოსახდენათ, კავშირის ხელმძღვანელობა დროებით ევალება დეპუტატთა საბჭოს.

დეპუტატთა საბჭო ირჩევს თავის წევრთა შორის აღმასრულებელ კომისიას, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა, კასირისა, სეკრეტრისა, ორგანიზატორისა და ბიბლიოთეკარისაგან. აღმასრულებელ კომისიას სისრულეში მოყავს დეპუტატთა საბჭოს ყველა გადაწყვეტილებანი. დეპუტატთა საბჭო ირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას, რომელიც რევიზიას (კონტროლს) უწევს აღმასრულებელ კომისიის მოქმედებას და ბეჭდავს კავშირის ყოველ-თვიურ ანგარიშებს.

—

ამხანაგო მუშებო და მოქალაქენო!

—

ჩვენ, მკერვალი მუშები, მოგმართავთ თქვენ ამხანაგურის მოწოდებით. მკერვალთა გაფიცვა გრძელდება! ბატონი ხაზეინები არ აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს, რადგან ჩვენ შორის გაჩნდენ მოღალატეები, რომლებიც ჩუმათ მუშაობენ, როგორც თავის სახლში, აგრეთვე ხაზეინებთან, რასაც დიდი მავნებლობა მოაქვს ჩვენთვის და რაც აგრძელებს გაფიცვას. მაგალითად, ყველა ჩვენი უბედურებათა ინიციატორი, ან და ჩვენი გაფიცვების მიზეზი ბატონი შერემეტიევი ჩუმათ ამუშავებს თავის სახლში 3—4 მუშას; შემდეგ შერემეტიევისა ზაკაზებს ღებულობს აგრეთვე მკერვალი ალექსანდროვი (მიხაილოვის ქუჩა), და მსგავსნი მათნი, ბინაზე მომუშავე ხულიგანი-მუშები. ეგენი ყოველ დროს მუშაობენ და მუშაობენ, როგორც შერემეტიევისთვის, აგრეთვე კიშელგოფისა და კრიჩევსკისთვის! აი, რა არის თავი და თავი მიზეზი, რომ ხაზეინები არ აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს. ასეთსავე სისაძაგლეს ჩადის მკერვალი ებრამ სავეიჩი, რომელმაც ალექსანდროპოლიდან გამოიწერა მუშები და მათი შემწეობით ღებულობს და ასრულებს „ზაკაზებს" იმ დროს, როცა მისი მუშები ქუჩებზე უცდიან მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ყველა ამის გამო მოგიწოდებთ თქვენ, ყველა პროფესიის ამხანაგ მუშებს, დაგვეხმაროთ შემდეგნაირათ: თუ გაიგებთ სად, რომელ სახლში მუშაობენ გაფიცულ სახელოსნოებისთვის, გადმოგვეცით მათი ადრესები,—ეს პირდაპირი მოვალეობაა ყველა პატიოსანი ადამიანისა და მოქალაქისა; გამოამეღავნეთ ეს საძაგლები, მოღალატეები მუშათა მოძრაობისა, ზიზღით მოეპყარით მათ; ეხლა მაინც გაიგონ, რომ პატიოსანი ადამიანები არ აპატიებენ ამ ხულიგან-მოღალატეებს ძლევამოსილ მუშათა მოძრაობის მსვლელობის ხელის შეშლას.

ვღებულობთ-რა მხედველობაში ყველა ამ მოღალატურ მოქმედებებს, როგორც ხულიგანურ მუშების მხრით, აგრეთვე, მით უმეტეს, „შპიონ" საევიჩის მხრით, რომელმაც გასცა ერთი ჩვენი ამხანაგი და დააპერინა პოლიციას იმ დროს, როცა ამხანაგი შეეიდა მის სახელოსნოში,—მკერვალთა უპარტიო პროფესიონალური კავშირის ბიურო ზიზღს უცხადებს: პირველათ, მოღალატე-მუშებს; რომლებიც ზემო აღნიშნულ ხაზეინებისთვის მუშაობენ; მეორეთ, ბინაზე მომუშავე მკერვალ მარტიევს, რომელიც ბევრჯერ გააფრთხილეს გაფიცულ ამხანაგებმა, მაინა მაინც თავისას არ იშლის; მესამეთ, სისხლის მწოველ ხაზეინებს: ალექსანდროვს, შერემეტიევს, კრიჩევსკის, კიშელგოფს და „შპიონ" საევიჩს.

ამხანაგო მუშებო და მოქალაქენო! თვითოეული პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა—მხარი დაუჭიროს იმ მებრძოლ მუშებს, რომლებიც ცდილობენ ეკონომიურად გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება. დაუჭირეთ მხარი თქვენც და გამოუცხადეთ თქვენის მხრითაც ზიზღი მაგ საძაგლებს!

თბილისის მკერვალთა პროფესიონალური კავშირის ბიურო.

კავკასია.

—

ქ. ბაქო. შესუსტდა რეაქციის საშინელი სუსხი, გატყდა წელში რეაქცია და პროლეტარიატმაც იწყო ყოველგან რეაქციის-მიერ თავის დანგრეულ-განადგურებულ ორგანიზაციების აღდგენა. ყველგან დაიწყო პროლეტართა უსაჭიროეს ორგანიზაციების, პროფესიონალური კავშირების შექმნა.

არც ბაქო ჩამორჩა ამ მხრივ სხვა ქალაქებს. აქაც ამ ცოტა ხანში უკვე 10 პროფესიონალური კავშირები დაარსდა,—სახელდობრ: 1. მებღაურთა პროფ. კავშირი, 2. პარიკმახერების, 3. ნოქრების, 4. მექვაბეების (котельниковъ), 5. სახლში მოსამსახურეთა, 6. კანტორშჩიკების, 7. მკერვალთა და მექუდეთა, 8. მექანიკური მუშების, 9. ნავთის მომუშავე მუშების ბალახანაში და 10. ნავთის მომუშავე მუშების შავ-ქალაქში. გარდა ამისა, ბაქოში არსებობს: უმუშევრათ დარჩენილთა ბიურო, რომელშიაც 6000 წევრი ითვლება. სურვილი კავშირებში მონაწილეობის მიღებისა და წევრებათ ჩაწერვისა—მუშებში დიდია, რის გამოისობითაც წევრთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს.

სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის ერთი კავშირი, სახელდობრ—„კანტორშჩიკების" უკვე დახურეს. ამ ცოტა ხანში იყო და ახლაც არიან ზოგ ალაგას გაფიცულები,—ნოქრების პროფესიონალურ კავშირის ხელმძღვანელობით;—გაფიცვები თითქმის ყოველგან გამარჯვებით გათავდა და თავდება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ კავშირები ფრაქციულ ხასიათს ღებულობენ. აი, ამის ნაყოფია ის, რომ ორი ერთნაირი „პროფეს. კავშირი" გაჩნდა—ერთი ბალახანაში და მეორე შავ-ქალაქში, რაც, ჩემი აზრით, კარგს არ უმზადებს ამ ახალ საქმეს—პროფესიონალურ ორგანიზაციების მოწყობას.

მიშა ქ—ძე.

—

პროფესიონალური მოძრაობა. ჭიათურა. აგერ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ჭიათურის ნოქართა პროფესიონალური კავშირი შედგა. კავშირში ირიცხება არა ნაკლებ 250 წევრისა. პროფესიონალურ კავშირს ყავს თავისი ბიურო, რომელიც პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევს. ამ უკანასკნელ ხანებში ბიუროს უმოქმედობა დაეტყო. ამ გარემოებამ აიძულა რამდენიმე ამხანაგი, რომ მთელი კავშირის კრება მოეთხოვათ. ბიურომ ყურადღება არ მიაქცია ამას და თავის უმოქმედობას რეაქციის გაძლიერებით ხსნიდა. ამხანაგები თა-

ვისას არ იშლიდენ და მათ კიდეც მიაღწიეს მიზანს: ამ დღეებში შედგა მთელი კავშირის კრება. კრებაზე ამხანაგებმა აშკარა-ჰყვეს ბიუროს უმოქმედობა; გადააყენეს ის და აირჩიეს ახალი ბიურო. აირჩია კრებამ აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელმაც ანგარიში უნდა ჩამოართვას ძველ ბიუროს და გასცეს ახალს. ახალი ბიურო უკვე შეუდგა მოქმედებას; შიგ პარტიული ამხანაგები მოხვდენ; ეს დიდ იმედებს გვაძლევს, რომ ეს ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საქმე ამას იქით კარგად წავა.

აკ.

რ უ ს ე თ ი.

—

პეტერბურგის მუშების სოლიდარობა სხვა ქვეყნის მუშებთან. ამ დღეებში პეტერბურგის უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭოს წინადადება მისცეს, გაეგზავნათ მუშები კანადაში, სადაც ამჟამათ რკინის გზა გაყავთ. ბურჟუა-კაპიტალისტებს ასე ეგონათ, ეს არის გავკეთდით, უსაქმოთ დარჩენილ მუშების შრომას ჩალის ფასათ ვიყიდით და დიდ მოგებასაც ვნახავთო. მათ ეგონათ, რომ პეტერბურგის მუშები პირველ მათ დაძახილზედვე გასწევდენ კანადისკენ. მაგრამ მოსტყუვდენ!

პეტერბურგის მუშებმა სულ სხვაფერ შეხედეს ამ ამბავს. მათ კარგათ გაიგეს, თუ რა სწადდათ კანადელ კაპიტალისტებს. პეტერბურგის მუშებმა კარგათ იციან, რომ სადაც საქონელი კეთდება, სადაც კაპიტალისტური წარმოებაა, იქ დაქირავებული შრომის სისტემაც არის, მაშასადამე, კანადაშიც არის მუშები,—მაშ რატომ პეტერბურგს მოაშურეს კაპიტალისტებმა?! იმიტომ რომ აქ უსაქმო მუშები ბევრია, უფრო იაფათ ვიყიდით მათ სამუშაო ძალას და კანადელ მუშებს კონკურენციას გავუწევთო. კაპიტალისტებს ეს აზრი ქონდათ.

მაგრამ პეტერბურგელმა მუშებმა სულ სხვაფერ შეხედეს ამას. ამის შესახებ მათ კრება გამართეს და შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელიც საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს და რუსეთის ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებს გაეგზავნა.

„ვასილიე-ოსტროვის“ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭომ ამავე კითხვის შესახებ დაადგინა: შესდგეს კომისია კითხვის დაწვრილებით გამოსაკვლევათ და დაევალოს მას (კომისიას) გამოიკვლიოს, როგორი მუშათა ორგანიზაციებია კანადაში, დაუყოვნებლივ შეეკითხოს ცენტრალურ ორგანიზაციას ამ საკითხის შესახებ და გაიგოს მათი აზრი, რომ საბოლოო რეზოლიუცია გამოიტანონ კანადის შესახებ.

—

15 ნოემბრის კანონი. კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს 15 ნოემბრის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროებულო წესები, სამუშაო დღის განსაზღვრის და კვირა-უქმე დღეებში დასვენების შესახებ, სულ 16 წევრისაგან შესდგება: 8 წევრს ირჩევს ბირჟის კომიტეტი და რვას ნოქართა დამხმარე საზოგადოება.

რვა დეკემბერს მოხდა სავაჭრო-სამრეწველოების წარმომადგენელთა მეორე კრება. ის ვაჭრები, რომლებსაც ისეთ ადგილებში აქვთ თავიანთი სავაჭროები, სადაც ხალხი ბლომათ ეტანება, თხოულობდენ სამუშაო დღის 12 საათით განსაზღვრას, დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე; ისეთი სავაჭროების პატრონები, სადაც ხალხი ნაკლებათ ეტანება, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში დასვენების შესახებ ვაჭრების ერთი ნაწილი იმის მომხრე იყო, რომ მაღაზია დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე იყოს გაღებული და ან ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მეორე ნაწილი თხოულობდა კვირა-უქმე დღეებში სრულიად შეწყვეტას ვაჭრობისა და მაღაზიების დაკეტვას.

კრებამ აირჩია კომისია—ვაჭართა თვითოეულ ჯგუფისაგან ხუთი დელეგატი.

ამავე დღეს მოხდა კომისიის კრება, რომელსაც დაესწრო ვაჭრობის 16 დარგის წარმომადგენლები. კომისიამ ერთხმათ დაადგინა: ივაჭრონ მხოლოდ 12 საათი დღეში,—დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის შესახებ—შვიდი ხმა ვაჭრობის სრულიად შეწყვეტის მომხრე იყო და ცხრა—1 საათიდან საღამოს 6 საათამდე ვაჭრობის. უმცირესობა მაინც იმედს არ კარგავს, რომ მიიმხრობს უმრავლესობიდან ნაწილს, რომ კვირა-უქმე დღეებში სრულიად ვაჭრობის შეწყვეტის საკითხი გაიყვანონ.

15 ნოემბრის კანონის შესახებ სავალდებულო დადგენილების შემმუშავებელ კომისიის საკითხი ნოქართა ყველა ორგანიზაციებში ირჩევა. საქმე იმაშია, რომ, 15 ნოემბრის კანონის ძალით, ვაჭართა და მოსამსახურეთა წარმომადგენლების რიცხვი განისაზღვრება ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების-მიერ, ხოლო მოსამსახურეების მხრით წარმომადგენლებს აყენებს ადგილობრივ ვაჭართა ნოქრების დამხმარე საზოგადოება და, სადაც ეს არ არის, ადგილობრივი ნოქრები ირჩევენ თავიანთ შორის. აშკარაა, რომ ამ ნიადაგზე კონფლიქტი მოსალოდნელია. ამის მაგალითს მოსკოვი გვაძლევს. ერთი, რომ ქალაქის თვითმართველობა ნოქართა წარმომადგენლებს ნაკლებს ირჩევს და მეორე—ყველა ადგილებს თითქმის „დამხმარე საზოგადოებას“ აძლევს და სრულიად უყურადღებოთ სტოვებს პროფესიონალურ კავშირებს.

კავშირებმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვონ,—მათაც მისცენ ნება კომისიაში მონაწილეობის მიღებისა, რომ ამ კომისიაში ყველა სავაჭრო-სამრეწველოების პროფესიებს ყავდეთ თავისი წარმომადგენელი. ამასთანავე კავშირები უნდა ეცადონ, რომ საზოგადო დაწესებულებებიდან ვაჭრები არ აირჩიონ, რაც ზოგიერთ პროვინციებში მოხდა. კავშირების ასეთი მოქმედება უეჭველათ გამოიწვევს მასსის მხრით დახმარებას და ამით ხელს შეუწყობს თავიანთ ორგანიზაციების გამაგრებას მომავლის ბრძოლაში.

15 ნოემბრის კანონმა თითქმის სავაჭრო-სამრეწველოების ყველა დარგის მოსამსახურეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. დაბალ მოსამსახურეებმა, როგორც მაგალითათ, ოფიციანტებმა, სამრეცხლოებში მოსამსახურეებმა და სხვა, დაადგინეს,—ენერგიული მონაწილეობა მიიღონ, რომ დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნას ახალი კანონი.

ლუდხანებში და სირაჯხანებში მოსამსახურეებმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: „ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ მინისტრთა საბჭოს 15 ნოემბრის დადგენილება სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა შესახებ: 1) ლუდხანებში მოსამსახურეთათვის სამუშაო დღეს 15 საათით საზღვრავს და ამავე დროს ეს განსაზღვრა სრულიად უმნიშვნელოა, რადგან შესაძლებელია კიდევ ზედ-მეტი მუშაობა ,,მოსამსახურეთა

თანხმობით“, 2) რომ კანონი ართმევს მოსამსახურეებს კვირაუქმე დღეებში დასვენებას და 3) ის გარემოება, რომ საანგარიშო წიგნები არ არის მიღებული და საფაბრიკო ინსპექციას არ ევალება თვალ-ყურის გდება კანონის შესრულების შესახებ,—ეს კანონი კარგავს ყოველივე ძალას,—ამიტომ დუდხანებში მოსამსახურეთა საზოგადო კრება სცნობს, რომ ეს კანონი მათ არაფერს არ აძლევს. კრება იმ აზრისაა, რომ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება მათ მხოლოდ ხაზეინებთან ბრძოლით შეუძლიათ და საჭირო სცნობს მოსამსახურეთა შეკავშირებას, რომ ხაზეინებმა მათდა საზარალოთ არ გამოიყენონ კანონი“.

—

გაფიცვა ადესაში. 22 ნოემბერს შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის გემზე მოსამსახურეებმა, გარდა მექანიკებისა, გაფიცვა გამოაცხადეს და გემების მიმოსვლაც შეწყდა.

გაფიცვის მიზეზი იყო მატროსების პროფესიონალური კავშირის—„რეგისტრაციის“ დახურვა.

დიდი ხანია, რაც გემზე მოსამსახურეები იბრძვიან მოიპოვონ კავშირების უფლებები. პოტიომკინის დღეების შემდეგ 17 ოქტომბრამდე, გენერალ ყარანგოზოვმა ნება მისცა შავი ზღვის მატროსებს,—შეედგინათ ეკონომიური ორგანიზაცია. მას იმედი ქონდა, რომ ამით ის ჩამოაშორებდა მათ პოლიტიკურ ბრძოლას.

დეკემბრის შემდეგ, როცა მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო საზოგადოთ ყველა კავშირების წინააღმდეგ, გენერალ ყარანგოზოვმა „რეგისტრაცია“-ც დახურა.

როცა მაისში ხელ-ახლა დაიწყო ეკონომიური ბრძოლა, მატროსებმაც ხმა აღიმაღლეს თავიანთ „რეგისტრაციის“ შესახებ და მთელი 5—6 კვირა გაფიცული იყვენ. გაფიცვამ აიძულა ხაზეინები და ადმინისტრაცია,—დათმობის გზას დასდგომოდენ. ყველა მათი ეკონომიური მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა და „რეგისტრაცია“-ც აღადგინეს.

დუმის შემდეგ ისევ დაუწყეს დევნა პროფესიონალურ კავშირებს.

ადმინისტრაციამ სასტიკი ზომები მიიღო მათ წინააღმდეგ. ჯერ დახურა მსხვილი კავშირები, შემდეგ ხელი მიყო წვრილებს და ბოლოს „რეგისტრაციაც“ დახურა. მაგრამ, სულ-კი არა, ადმინისტრაციამ, გემების პატრონებთან შეთანხმებით, შეიმუშავა ახალი წესდება—„გემზე მოსამსახურეთა საზოგადოების“—და გამოაცხადა, რომ, რადგან ახალი საზოგადოება შესდგა, ამიტომ ძველი „რეგისტრაცია“ იხურებაო. ახალი წესდების ძალით, მთელი ძალა-უფლება ხაზეინების ხელში გადადის და მოსამსახურეები და მათი კავშირი სრულიად დამოკიდებულია ხაზეინებისა და ადმინისტრაციის სურვილებზე. ამდენხანს „რეგისტრაციის“ ხელში იყო მთელი მართვა-გამგეობა: ის ღებულობდა მატროსებს, აწეს-რიგებდა მათ სხვა-და-სხვა გემებზე და სხვა. ახალი წესდებით-კი ყველა ამას ბოლო ეღება.

გემებზე მოსამსახურეებმა ეს ძალიან კარგათ გაიგეს და 20 ნოემბერს, როგორც კი ხმა გავრცელდა—რეგისტრაცია დაიხურაო, ხელათ გაფიცვა გამოაცხადეს და ადესიდან ერთი გემიც არ დაძრულა.

გემის ადმინისტრაცია ელოდა ამას და ემზადებოდა. მათ მოამზადეს „შტრეიკბრეხერების“ მთელი ჯგუფი, რომელთაც გაფიცულების ადგილზე უნდა ემუშავნათ. ამ მხრით დიდი დახმარება გაუწია მათ „რუსთა კავშირის“ ადესის განყოფილებამ, გრაფ კონოვნიცინის მეთაურობით. ხელათ აცნობეს ეს ამბავი სხვა ქალაქების განყოფილებებს და ადესისკენ იწყო დენა „ჭეშმარიტ რუს“ შტრეიკბრეხერებმა “ ზოგიერთი გემი კიდეც გავიდა ადესიდან „ჭეშმარიტ რუსთა“ შემწეობით; მაგრამ, ჩქარა გამოჩდა, რომ მათ კარგი სამსახური ვერ გაუწიეს ხაზეინებს: სამი გემი გაირიყა სილაზე და ერთიც დაიკარგა.

27 ნოემბერს ნავთსადგურის მუშებიც და მექანიკ-მემანქანეებიც მიემხრენ გაფიცულებს.

საზღვარ-გარეთ.

გერმანია. როგორც „Berliner Tageblatt“-ი გადმოგვცემს, ამ თვის 12 (ახ. სტილით) ქალაქ ვეიმარის Landgericht-ს (ადგილობრივ სუდს) ორი თვით ციხე მიუსაჯნია გამოჩენილ სოციალ-დემოკრატ როზა ლიუქსემბურგისთვის.

აი საქმე რაშია.

შარშან, როცა აქ, ჩვენში, რევოლიუცია ჰქქდა და ქუხდა, როცა მთელი რუსეთი რევოლიუციონერთა ხელში იყო, როცა ძველი მთავრობა სამარეს ესვენებოდა და მეორეს, ნორჩს, ძლიერს, დღეს თუ ხვალ მისი ადგილი უნდა დაეჭირა, როცა მთელი ევროპის ყურადღება რუსეთს მიეჯაჭვნა, ამ დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იკრიბებოდენ ქალაქ იენში, რომ ჩვეულებრივი, ყოველწლიური პარტეიტაგი გაეხსნათ. მაგრამ მოსტყუვდენ! მათი სიეზდი ყოველწლიური კი გამოვიდა, ჩვეულებრივი კი არა. იგი ჩვეულებრივი არ იყო, რადგან აქედან იწყება ახალი ერა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განვითარებისა.

აქამდის მთელი პოლიტიკური მოქმედება გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა განისაზღვრებოდა თითქმის მხოლოდ პარლამენტარული ბრძოლით. იქ იყო პარტიის მთავარ ბრძოლის ასპარეზი. იქ იყვენ თავმოყრილნი ყველა საუკეთესო პარტიული ძალები. პარტიის ერთ ნაწილს (მარჯვენა ფრთას) ვერცკი წარმოედგინა სხვა-გვარი ბრძოლის ფორმა; მეორე ნაწილი კი (მემარცხენენი), თუმცა კმაყოფილი არ იყო მარტო ამ ბრძოლის ფორმით და დარწმუნებულიც იყო, რომ საჭიროა სხვა უფრო რევოლიუციონური ბრძოლის ფორმა, მაგრამ მის დასახელება კი არ შეეძლო, რადგან ვერ გადაეწყვიტა, თუ რა სახის უნდა ყოფილიყო იგი. მართალია, იყვენ ზოგიერთნი, რომელნიც გაბედავდენ ხოლმე და ამ ახალ ბრძოლის ფორმას მასსიური გაფიცვის სახელით ნათლავდენ; მათ, ყოველთვის, გერმანიის პროლეტარიატი ირონიით შეხვდებოდა ხოლმე!.. ამის შესახებ დამცინავი, სხარტი სიტყვაც კი გამოითქვა: „Generalstreik—Generalunsinn“ (საყოველთაო გაფიცვა—საყოველთაო უტკუობაა). მაგრამ, რუსეთის რევოლიუციამ, თავის სამაგალითო მასსიური გაფიცვებით, დაუმტკიცა გერმანიის პროლეტარიატს, რომ მასსიური გაფიცვა—ეს „საყოველთაო უტკუობა“ კი არაა, საუკეთესო იარაღია პროლეტარიატის კლასიური ბრძოლისა. მან, რუსეთის რევოლიუციამ, დაასვა თავისი რევოლიუციონური დაღი ამ სიეზდის ნამუშევარს. მისი ზეგავლენით, იენის პარტეიტაგმა აღიარა მემარცხენეთა პირით, რომ ის ბრძოლის ფორმა, რომელიც აქამდის იყო უპირველესათ ცნობილი,—არაა საკმარისი. საჭიროა უფრო რევოლიუციონური ბრძოლის ფორმა და ეს ფორმა—მასსიური გაფიცვაა.

მემარცხენეთა შორის, როზა ლიუქსემბურგმა, ამ პარტეიტაგზე, შესანიშნავი მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა მასსიური გაფიცვის საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ. იგი, რუსეთის რევოლიუციის ცოცხალი მაგალითებით, უმტკიცებდა მემარჯვენეთ მის შესაძლებლობას. მისმა სიტყვამ დიდი გავლე-

ნა იქონია, როგორც დელეგატებზე, ისე სტუმრებზე. აი ამ სიტყვის გამო მისცეს იგი სამართალში.

საინტერესოა თვით გასამართლების პროცესი. მოწმეთ მხოლოდ ერთათ-ერთი პოლიციის კომისარია. ეს ის კომისარია, რომელიც დაესწრო პარტეიტაგს და რომელმაც მისცა ამბ. როზა ლიუქსემბურგი სამართალში.

პროკურორი ეკითხება მოწმეს—პოლიციის კომისარს: „რანაირი ფორმით ლაპარაკობდა ბრალდებული? წყნარათ თუ მის სიტყვას ცხარე კამათის ხასიათი ჰქონდა?“—მოწამე: „იგი ლაპარაკობდა ძაან გაცხარებული, ამაღელვებელი ტონით და მალ-მალ რუსეთის მდგომარეობაზე უთითებდა“. თავმჯდომარე კიდევ ეკითხება მოწამეს: „რანაირი გავლენა იქონია ბრალდებულის სიტყვამ იქ დამსწრეებზე“?—მოწამე: „არ შემიძლია ვსთქვა, რომ დიდი გავლენა იქონია, ირონიული ტაშის-ცემა კი ბევრი იყო“.

აი, მთელი ეს გასამართლება ამნაირი კითხვა-პასუხებისაგან შესდგება! ამგვარათ დაკმაყოფილებულ „სუდს“ გამოაქვს განაჩენი: „რადგან ბრალდებულს თავის სიტყვით უნდოდა არა ტეორეტიულათ კითხვის გარკვევა, არამედ იგი შეგნებულათ ცდილობდა გამოეწვია აღელვება; რადგან ბრალდებული ცდილობდა დაენახვებია (მსმენელთათვის), რომ მისი მიზანია არა მარტო მასსიური გაფიცვა, არამედ რევოლიუციაც, —და ეს-კი, როგორც ვიცით, ნიშნავს სხვა-და-სხვა კლასთა შორის ბრძოლის გამწვავებას, — ამიტომ ბრალდებულს, ძალდატანებითი მოქმედებაზე (Genalttatigkeit) წაქეზებისთვის, ორი თვით ციხე მიესაჯა“!..

—

ამჟამათ ევროპის ყველა ქვეყნების ბეჭდვითი სიტყვის მუშები საყურადღებო კითხვას სჭრიან,—კითხვას სამუშაო დღის სიგრძისა და ხელფასის შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებას, ანუ, როგორც ამ შემთხვევაში ყველგან იტყვიან, კითხვას ტარიფის შესახებ. მოვიყვანთ ამის შესახებ ცნობებს რამდენიმე ქვეყნის შესახებ.

იტალია. „იტალიის ფედერაცია წიგნის მუშებისა“ ცდილობს მთელ იტალიისთვის საერთო ტარიფის შემოღებას. ამ განზრახვით მან მიმართა ტიპოგრაფიის პატრონების კონგრესს, რომელიც რომში მოხდა.

კონგრესმა არ ინდომა მუშათა ფედერაციის წინადადების განხილვა, მან მხოლოდ კომისია აირჩია, რომელსაც მიანდო ფედერაციის მიერ გამომუშავებულ ტარიფის პირობათა გასინჯვა. ამ კომისიაში მუშების წარმომადგენელი სათათბირო ხმით იქმნა მიწვეული.

სხვა-და-სხვა ქალაქებში მუშების კრებებზე მხურვალე აგიტაცია სწარმოებს ტარიფის სასარგებლოთ: ყველგან ირჩევენ კომისიებს, დაწვრილებით იხილავენ ტარიფის პირობებს, თან ფედერაციის აგიტატორები მოიწოდებენ მუშებს კავშირში შემოსასვლელათ. თვით სეკრეტარი ფედერაციისა დაიარება ქალაქიდან ქალაქში და მხურვალე აგიტაციას ეწევა თავისი ორგანიზაციის სასარგებლოთ.

გერმანიაში უკვე გათავდა მოლაპარაკება და ტარიფი შემოღებულ-იქნა. მთავარი მუხლები ამ ტარიფისა არის ცხრა საათიანი სამუშაო დღე და ხელფასის მომატება $10^0/_0$-ზე; ის უკვე შევიდა ძალაში, მაგრამ უკმაყოფილება მის წინააღმდეგ დიდია მუშებ შორისაც და კაპიტალისტებ შორისაც. უკმაყოფილო კაპიტალისტებმა შეადგინეს ახალი კავშირი ტარიფთან საბრძოლველათ. კავშირის სათავეში დგას მსხვილ კაპიტალისტების მოპირფარეშე ტიულე, რომელიც ენერგიულ აგიტაციას ეწევა,—მსხვილი კაპიტალისტები ნულარაფერს შეუკვეთავთ იმ ტიპოგრაფიებს, რომელიც ტარიფზე დათანხმებულანო.

მეორე მხრივ, მუშებიც ბევრ ქალაქებში პირველათ დიდ წინააღმდეგობას აცხადებდენ ტარიფზე. ბერლინის განყოფილებამ ტიპოგრაფიის მუშათა კავშირისა მოითხოვა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან, რომ უკანასკნელი ყველა განყოფილებს შეჰკითხებოდა ტარიფის შესახებ და შეეტყობინებინა ბერლინელთა წინადადება—ტარიფის საბოლოო დამტკიცება, ან უარყოფა კავშირის საგანგებო კონგრესით გადწყვეტილიყო. ცენტ. კომიტეტმა შეასრულა ბერლინის განყოფილების მოთხოვნა და უკანასკნელი წინადადება ყველა განყოფილებებს გააცნო. 23 განყოფილებაში მხოლოდ სამი მიემხრო ბერლინის წინადადებას, დანარჩენებმა-კი საგანგებო კონგრესი საჭიროთ არა სცნეს.

ამის შემდეგ ბერლინელ ტიპოგრაფ-მუშების კრებამ გადასწყვიტა—უმრავლესობას ვემორჩილებით და ვიღებთ ტარიფსაო. აი მათი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გერმანელ ტიპოგრაფიის მუშათა კავშირის უმრავლესობა ტარიფს ხმას აძლევს, ბერლინის ტიპოგრაფიის მუშები, თვისდა სამწუხაროთ, იძულებულად სთვლიან თავისთავს მომხდარ ხელშეკრულობას დაემორჩილონ. მეორე მხრივ ბერლინის განყოფილების წევრები აცხადებენ, რომ ისინი არ კისრულობენ არავითარ პასუხისმგებლობას ახალი ტარიფის განხორციელების შედეგებზე, რადგანაც ისეთი ტარიფი, რომელიც საკმაოთ არ ღებულობს სახეში დიდ ქალაქებში ცხოვრების პირობებს, უწინარეს ყოვლისა მათ ქალაქში გამოიწვევს განხეთქილებას. ბერლინის განყოფილების წევრებს არ შეუძლიათ საყვედური არ გამოსთქვან ცენტრ. კომიტეტის მიმართ, რომელმაც მათი უფლება დაარღვია და საქმის გადწყვეტაში მონაწილეობა არ მიიღებინა.

ასეთივე პროტესტი განაცხადეს ტარიფის წინააღმდეგ დიდ ქალაქების მუშებმა, მაგალითად, შტუდგარდში, მანჰეიმში და სხვაგან. არც საკვირველია, სწორედ დიდ ქალაქებში ცხოვრება ძალიან გაძვირებულია; მეტადრე ხორცის ფასმა მეტის-მეტად აიწია. ამიტომ $10^0/_0$-ით მომატება ხელფასისა აქ საკმაო არ არის. გერმანელ ტიპოგრაფიის მუშების უკანასკნელმა კონგრესმა დრეზდენში გადასწყვიტა დავალებოდა ტარიფის ბიუროს, რომ ტარიფში შეტანილ-იქმნას $15^0/_0$-ზე მომატება სამუშაო ხელფასისა და $8^1/_2$ საათ. სამუშაო დღის შემოღება.

გერმანიაში უკანასკნელ დროს ბეჭდვითი საქმე ძალიან გაიზარდა,—აუარებელ გაზეთებს, წიგნებს, ჟურნალებს და სხვ. სცემენ, იზრდება აგრეთვე მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგში ბეჭდვის საჭიროება, ყველა ეს შესაფერ პირობებსა ჰქმნის დრეზდენის კონგრესის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლათ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ უფრო შეგნებული მესტამბეები ტარიფს უარყოფით შეხვდენ.

—

ბულგარია. ბოლგარელ ტიპოგრაფიის მუშებში იგივე მოძრაობაა ტარიფის შემოღების სასარგებლოთ. შარშან-წინ სოფიის მესტამბე მუშებმა შეიმუშავეს ტარიფი და ტიპოგრაფთა საერთაშორისო სეკრეტარიატს განსახილველათ წარუდგინეს. სეკრეტარიატმა ის ყურადღებით გასინჯა და მცირე ცვლილებათა შეტანის შემდეგ შესაწყნარებელათ სცნო. შარშანდელი წლის იანვარში ტარიფი წარუდგინეს ხაზეინებს; უკანასკნელებში მხოლოდ ერთმა ფირმამ განაცხადა ყველა მოთხოვნილებაზე თანხმობა, ოთხი ფირმა თანახმა იყო „ვაჭრობა“ გაემართა, დანარჩენებმა კი გადაჭრილი უარი სთქვეს, და თან ლოკაუტიც გამოაცხადეს, რომელიც 1 თებერვლიდან 23 მარტამდის გაგრძელდა (1905 წ.). ერთი ჭირი მარგებელიაო, ეს ლოკაუტიც მარგებელი გამოდგა—მან აიძულა სტამბის მუშები მჭიდროთ შეერთებულიყვენ. ბოლოს ხაზეინებმა ტარიფი მაინც მიიღეს. სამუშაო დღე ამ ტარიფით $8^1/_2$ საათია.

აღსანიშნავია ის რომ მესტამბეთა შორის სოფიაში არსებობს ორი კავშირი, რომლებიც ერთი-მეორეს ებრძვის. შეგნებული მუშები დიდ მეცადინეობაში არიან, რომ ეს კავშირები გააერთიანონ; თითონ საერთაშორისო სეკრეტარიატიც ჩარეულია ამ მიზნით. ეჭვს გარეშეა, რომ მიზანი მალე მიღწეულ იქნება. სოფიის კავშირს ნელ-ნელა სხვა ქალაქის მესტამბე მუშებიც უერთდებიან და ტარიფის შემოღებას იქაც ცდილობენ.

ამ თვეენახევრის წინათ ტიპოგრაფთა საერთაშორისო სეკრეტარიატმა გამოსცა შემდეგი საყურადღებო განცხადება რუსეთის ტიპოგრაფიის კავშირთა მიმართ.

„უკანასკნელ დროს ხშირათ ხდება, რომ საშუალო ევროპის სხვა-და-სხვა ქვეყნებში მოგზაური მუშები თავის-თავს რუს ტიპოგრაფთა ორგანიზაციების წევრებათ აცხადებენ და საგზაო დახმარებას ითხოვენ, ამასთან არავითარი წერილობითი საბუთი თან არა აქვთ. რადგანაც დღეს რუსეთში მუშები ძალიან მძიმე პირობებში არიან, ამიტომ ჩვენი კავშირების გამგეობანი, რომლებიც სეკრეტარიატს ეკუთვნიან, თანხმობას აცხადებენ—დაეხმარონ თქვენი ქვეყნიდან წამოსულ წევრებს,—თუმცა ვალდებულობით ისინი ამის მოვალეები არ არიან, მაგრამ, რათა ეს დახმარება ისეთის ხელში არ ჩავარდეს, რომელიც რუსეთის ტიპოგრაფიის შეკავშირებულ მუშებს არ ეკუთნის, ან ამ ხელობისა სულაც არ არის, მათ გადასწყვიტეს მომავალში საგზაო დახმარება (ვიატიკუმი) მხოლოდ ისეთს მიეცეს, რომელსაც კავშირის წიგნაკი ექნება.

სტატისტიკა.

თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური წარმოება აკოტრებს და ხელიდან აცლის წვრილ-მწარმოებელს ყოველგვარ საწარმოვო იარაღს და მით საზოგადოების დიდ უმრავლესობას,—მთელ მშრომელ ხალხს გაპროლეტარებისა და სიღარიბის გზაზე აყენებს; ამნაირათ, მთელ საზოგადოებას ორ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე კლასათ ყოფს: ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ ბურჟუების მცირე-რიცხოვან კლასს, რომლის ხელში თავს იყრის მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ყოველგვარი წარმოების საშუალებანი,—ხოლო, მეორეს მხრით, გაღატაკებულ, ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებულ მუშათა მრავალ-რიცხოვან კლასს, რომლის ერთათ-ერთი სიმდიდრე სამუშაო ძალაა და რომლებიც იძულებულნი არიან თავი ირჩინონ თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით. მაგრამ, კაპიტალისტური წარმოება არ სჯერდება მარტო მამაკაც მუშებს. წარმოებაში, მანქანების შემოღების წყალობით, იმდენათ გაადვილდა შრომა, რომ შესაძლებელი ხდება ბავშვებისა და ქალების მუშაობა. ამასთანავე იმათი მუშაობა უფრო სასარგებლო და ხელსაყრელიცაა კაპიტალისტებისათვის, რადგან მათ უფრო ნაკლებ ხელფასს აძლევენ. ქალები და მასთან ერთათ მცირე-წლოვანი ბავშვები, როგორც სუსტები, მოუმზადებელნი და მოუწყობელნი ბრძოლისათვის, მოკლებულნი არიან წინააღმდეგობის გაწევის უნარს და ხმის ამოუღებლივ ემორჩილებიან კაპიტალისტების ყოველგვარ ძალმომრეობას. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ქვეყანაში, სადაც-კი კაპიტალისტური წარმოება ბატონობს, ან ფეხს იკიდებს, ქალებისა და ბავშების მუშაობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოებისას,—და მომუშავე ქალთა და ბავშვთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც, ერთის მხრით, ისინი წარმოადგენენ იაფ-ფასიან სამუშაო ძალას, ხოლო, მეორეს მხრით, მათი კონკურენცია ბაზარზე აიძულებს მამაკაცებს იაფათ გაყიდონ თავისი სამუშაო ძალა. სიმშილი და სიღარიბე აიძულებს ქალებს დაიხშონ გულში ოჯახის სიყვარული, მშობლიური გრძნობები, გულიდან მოიგლიჯონ ძუძუ-მწოვარა ბავშვები და მილიონობით მიაწყდენ ბაზარს სამუშაოს ან სხვა რაიმე საქმის საძებნელათ. კიდევ კარგი, თუ ბედმა გაუღიმა და კაპიტალისტი საჰიროებს მათ მუშაობას, თუ არა და იძულებულნი არიან,—ხელი მიჰყონ ადამიანის დამამცირებელ ხელობას და თავისავე სხეულით ივაჭრონ, რათა სიმშილით სიკვდილი თავიდან აიცდინონ. ჩვენ აქ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები მომუშავე ქალთა რაოდენობისა და მათი ხელობის შესახებ, ეს ცნობები აშკარათ ჰყოფენ ქალთა უნუგეშო მდგომარეობას დღევანდელ კაპიტალისტურ წარმოებაში.

წარმოების სხვა-და-სხვა დარგში მუშაობასა თუ საკუთარ საქმეს ეწეოდა: გერმანიაში 1895 წელს სულ—22 მილიონ 110 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის ქალების რიცხვი შეადგენდა 6 მილიონ 350 ათასზე მეტს; ავსტრიაში 1890 წელს სულ—13 მილიონ 163 ათასამდე მომუშავე იყო, მათ შორის ქალები—5 მილიონ 772 ათასამდე; ვენგრიაში 1890 წელს—7 მილიონ 637 ათასამდე მომუშავეთაგან—2 მილიონ 190 ათასამდე ქალები იყო; იტალიაში 1881 წელს სულ 15 მილიონ 152 ათას მომუშავეთაგან ქალები 5 მილიონ 701 ათასზე მეტი იყო; საფრანგეთში—სულ 16 მილიონ 328 ათასამდე, მათშორის ქალები—5 მილიონ 191 ათასამდე;. ინგლისში—სულ 16 მილიონ 816 ათასამდე, მათ-შორის ქალები—5 მილიონ 208 ათასამდე; შეერთებულ შტატებში ამერიკაში) სულ 22 მილიონ 735 ათასიდან ქალები 3 მილიონ 915 ათასი იყო; დანიაში—სულ 842 ათასიდან ქალები—233 ათასი; შვეციაში—სულ 1 მილიონ 750 ათასამდე, მათ შორის ქალები—487 ათასამდე.

ჩვენ არ მოგვყავს ცნობები შესახებ იმისა, თუ წარმოების ამა თუ იმ დარგში,—რა რიცხვს შეადგენს მომუშავე ქალები; ვიტყვით მხოლოდ, რომ ქალებს შეხვდებით წარმოების ყოველგვარ დარგში; სხვათაშორის, გერმანიაში, 1895 წლის აღწერაში, აღნიშნულია 11 ქალი კაჩეგარი და მაშინისტი. ამას გარდა, სტატისტიკური ცნობები გვეუბნება, რომ თითქმის ყველა ქვეყნებში მომუშავე ქალების რიცხვი, შედარებით მამაკაცების რიცხვთან, უფრო მატულობს; მაგალითად, გერმანიაში 1882 წლიდან 1895 წლამდე საერთოთ მომუშავეთა რიცხვს მომატებია 16,6%, ე. ი. ყოველ ასზე 16 ნახევარი; ამათ შორის მამაკაცების რიცხვს მომატებია 15,8%, ხოლო ქალების კი—18,7%. ინგლისში კიდევ მეტა განსხვავებას ვხედავთ; იქ 20 წლის განმავლობაში მომუშავე მამაკაცების რიცხვს 8 პროცენტამდე მომატებია, ხოლო ქალებისას 21 პროცენტამდე.

ამნაირათ, დღევანდელ კაპიტალისტურ წარმოებაში აუარებელი ქალი იძულებულია თავის ხელით ირჩინოს თავი და ასეთების რიცხვს ყოველ დღე ემატება.

რაც შეეხება სამუშაო ხელფასს, საერთოთ ცნობილია, რომ ქალების შრომა მამაკაცის შრომასთან შედარებით ყოველთვის და ყოველგან უფრო იაფათ ფასდება.

ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში (იხ. „ახ. დროება“, № 5, სტატისტიკა) მოყვანილი გვქონდა ცნობები, რომ მოსკოვის სამრეწველო რაიონში, ქალების თვიური ხელფასი 7 ან 8 მანეთს უდრის, ამავე დროს მამაკაცის თვიური ხელფასი 13 მანეთამდეა, თუმცა ერთიც და მეორეც ერთნაირათ შრომობენ.

ამასვე გვეუბნება სხვა ქვეყნის ცნობები. გერმანიაში, მაგალითათ, 1893 წელს შეკრებილ ცნობებით, ზოგიერთ სამრეწველო რაიონში ქალების კვირეული ხელფასი საშუალოთ 6 თუ 8 მარკამდეა (მარკა 47 კაპეიკს უდრის), მამაკაცების კი საშუალოთ 15-დან 20 მარკამდე.

ასეთია ქალების ხელფასი სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ არის, რომ არამც თუ უსაქმოთ დარჩენილი ქალები, არამედ მომუშავენიც იძულებულნი არიან პროსტიტუციის (სხეულით ვაჭრობა) საშუალებით შეივსონ ხელფასი. კაპიტალისტები, როდესაც მცირე ხელფასს აძლევენ ქალებს, თითქოს ეუბნებიან მათ: „ივაჭრე სხეულით და მით შეივსე ხელფასიო“.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ზიზიბაძე**.

ელექტრონით მბეჭდავი „შრომა“ ამხ.—სა, მიხეილის ქ. № 65.